

၂၀၃၀ အောင်



၃၀၂၄၊ ၁၀၊ ၂၀၃၀

2024

## რედაქტორისაგან

გამოცემა ლევან ბოცვაძის ლექსთა კრებული, გადაშლი წიგნს და თქვენ თვალწინ გადაიშლება მეტად საინტერესო შემოქმედება, რომელიც გამოიჩინა ლექსთანუყობის სხვათაგან განსხვავებული მანერით. მასში იგრძნობა საოცარი მუსიკალურობა და ფილოსოფია მისი შინაგანი სამყაროს კარნახით. ლექსები რომელიც მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდშია შექმნილი ასახავენ, სამშობლოს, ზოგადად მოყვასის სიყვარულს, რომლის გარეშე იჩრდილება სიცოცხლე. ლევან ბოცვაძის, შემოქმედება არ გავს არცერთი პოეტის შემოქმედებას, იგი ინდივიდუალური, საინტერესო და მიმზიდველია. მინდა ვუსურვო ამ საინტერესო, ნიჭიერ ადამიანს შემოქმედებითი წარმატებები, უთვალავი სიკეთე და დიდხანს სიცოცხლე ოჯახთან ერთად.

რედაქტორი

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, განათლების  
აკადემიის აკადემიკოსი: რევაზ ძელაძე



## ვარსკვლავთცვენა

თოვლი მოდის თუ ვარსკვლავთცვენაა,  
ყოველი წამის ჩქარი დინება,  
ფიფქი ხომ ნაზი გრძნობის ზენაა,  
ხელს შეუშვერ და შემოგადნება.

ლამაზი ქალის ეს სიყვარული,  
ცრემლთა დენაა აღტაცებულის  
და თუ შეგატყო მან სიბრალული,  
ხელს გაგიშვებს და ხარ დაცემული.

შენ, რომ ალბეჭდე ეგ ფიფქთა ცვენა,  
მუზაც მანდ იყო ჩასაფრებული,  
ნეტა მცოდნოდა ვარსკვლავთა ენა,  
ლამით ცის ცქერით შეყვარებული.

თოვლი მოდის თუ ვარსკვლავთცვენაა,  
ყოველი წამის ჩქარი დინება,  
ეს ცხოვრებაც ხომ დიდი სცენაა,  
სად ყველა როლი ღმერთმა ინება.

## ვარდების ზღვაში

ვარდების ზღვაში გავცურავ,  
ეკლებს არ მოვერიდები,  
ნაპირზე ისე გადმოვალ,  
ხავსსაც არ მოვეკიდები,  
ცას ვიფრენ ელჭექიანსა,  
არ მინდა მესამრიდები,  
შენს თავზე ღრუბელს გავფანტავ,  
მზის სხივად მოგექარგები.

სულში ბევრ ნათელფერებად,  
ფიქრებად ჩაგესახლები,  
არჩევას მოგცემ, შემდეგ კი  
არადნად მოგევლინები,  
შენს გრძნობად ვივლი, დავრჩები,  
გავხდები გულის თანმხლები,  
მერე გავქრები იქამდე,  
სადამდეც მოგენატრები.

## ახალი ცელი

ახალი წელი მოგვადგა,  
ახალი იმედებითა,  
მაშ ძველი წელი ვაცილოთ  
თავისი ავკარგებითა,  
გულის კარები გავაღოთ,  
სიტყვა ცუდია დებითა,  
კარგი ვუსურვოთ ერთმანეთს,  
ახდენითა რგებითა.

დამდეგს გილოცავთ სულ ყველას,  
სიკეთით ჯანმრთელობითა,  
ყველა ოცნება ასრულდეს,  
ჩვენი ოფლით და შრომითა,  
ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ,  
დავბრუნდეთ შინ მშვიდობითა,  
ვეცილებოდეთ ერთმანეთს,  
სამშობლოს წრფელი ნდომითა.

## მეტი არაფერს არ ველი

თავის ქებითა ამჟღავნებს,  
ჩვენს ყოფას წუთისოფელი,  
თავის ნებითა კვლავ გვავნებს,  
ჩვენში ავსული მყოფელი.

ცოტა რამ უნდა ვიცოდეთ,  
რაც ხინჯად მოგვეკიდება,  
ამ ქვეყნად თუ რამ შევცოდეთ,  
იმ ქვეყნად მოგვეკითხება.

თუ მოერია მას ღვალო,  
ვერ განკურნავენ წამლები,  
მთავარია, რომ დაღვარო,  
სინანულისა ცრემლები.

მეტი არაფერს არ ველი,  
მხოლოდ მზიანი თვალების,  
ყველაფერსა აქვს საშველი,  
გარდა იმ გარდაცვალების.

ცასაც, მიწასაც და წყალსაც,  
ერთურთსაც სალამ-ქალამი,  
პატივი ეგოს ცოცხალსაც,  
მწერალს მოუნდეს კალამი.

## სიყვარულის ვეპტორი

გრძნობით მოდის ჩვენს გულებში,  
სიყვარულის ვექტორი,  
ეს მუზაა პოეტებში,  
ლექსის არქიტექტორი.

არ სჭირდება მას განხილვა,  
საით არის სექტორი,  
მთავარია გქონდეს ხილვა,  
მას ვერ მოგცემს ლექტორი.

მუზა როცა ჩასახლდება,  
არი ლექსის მენტორი,  
მერე რითმაც მოუხდება,  
როგორც მხურვალს მენთოლი.

## გოგოვ ნუ ხარ მორიდებით

გოგოვ რად ხარ უკარება?  
ნუ მიმალავ ლამაზ სახეს,  
ფიქრობ არსად იარება?  
შენისთანა სხვა ვერ ნახეს?!

იხედები შენ სხვა მხარეს,  
ალამაზებ არე-მარეს,  
შემომხედვე, მეც მახარე,  
გულში სითბო ჩამიღვარე.

გოგოვ ნუ ხარ მორიდებით,  
განმიახლე იარები,  
სიყვარულში მოვრიგდებით,  
გულში-სულში ზიარებით.

## ერთი დღე მთავი

რომ მოშუშდება ზეცა ალისფრად,  
დაისი აისა იმშობიარებს,  
რიურაუი, რუხი იქმნება ლურჯად,  
მერე ზამბახად გახსნის იარებს.

ხარბად ნასუნთქი ჰაერი დინჯი,  
გონებას ხარშავს როგორც ცოცხალი,  
ციდან ელვრება სხივსა ნარინჯი,  
რომ დაანაყროს დილა ცინცხალი.

უხმოდ მცურავი ალაგ და ნისლი,  
ბალახსა ჰკოცნის შუშის ცვარ-ნამი,  
იქვე ყვავილში გამოდის ისლი,  
ვერ შეამინებს ბნელი, წკვარამი.

მთაში ამ დროსა, ტკბილია ძილი,  
სუსხია, სადლაც ყივილი მამლის,  
ბუნების ყველას აქვს თავის წილი,  
შორიდან ყმუილი მშიერი მგლის.

იქვე ყეფს ძალლი პატრონის რიდით,  
ბანს აძლევს, არწივი მეფეა ცის,  
დაფრინავს როგორც ორივეს გიდი,  
მაყურებელი, ზეცითა მიწის.

ჩამოცხა, უხმოდ აჭერს მზე მთისა,  
არსად არ არის ჭაჭანი კაცის,  
ისმის კაკანი იქვე ქათმისა,  
შორით ხავილი, ზარმაცი მამლის.

ჭალის ხმა კიდევ სულ სხვა ხმოვანი,  
კოდალას კაკუნს, იხდენს გუგული,  
ოფოფი ცეკვავს, ტყისა მგოსანნი,  
შაშვი გალობს და უსტვენს ბულბული.

ახლო ხმით ჭრიჭინა ამძაფრბს არეს,  
კრაზანას შიშით ხელს უქნევ მარეს,  
კალია დახტის უმისამართოდ  
და შეიძლება ცხვირზე შეგახტეს.

პეპელა მზისგან გამხმარ ბალახის,  
ლეროზე მწყობრად აფხურებს ფრთებს,  
თითქოს ისვენებს არსება ნაზი,  
ან დიდი ფრენისთვის იღებს გეზს.

დრო აქვს სულ ცოტა, მხოლოდ სამი დღე,  
მისთვის სამი დღე, ვით საუკუნო,  
გხიბლავს შორიდან რომ არ განუდგე  
და სილამაზეს შენ ვერ უგანო.

ჭია მაიას დაისვამ ხელზე,  
პოვნას ჩაუთქვამ დაკარგულებზე,  
ამინდსაც გამცნობს ახლო ტყე ველზე,  
გეტყვის მითებზე და კარგ გულებზე.

გვირილა გირჩევს “მას” თუ უყვარხარ,  
არ შემთხვევაში მეგობარს იხმობს  
და გეტყვის მასში ხარ თუ არა ხარ,  
შენთან ცნობაში ის კი თავს იგმობს.

ბაბუანვერას სულს შეუბერავ  
და მონაცრებულს უგზავნის წერილს,  
იქვე ყაყაჩო იეჭვიანებს,  
ლაქის პრიალით კიაფში შედის.

რუში გომბეშო სიცხით გაბერილს,  
პრინცის კოცნას რომ სულ მუდამ ელის,  
მეჭეჭებიანს მწვანედ დაფერილს,  
თეთრად მოუჩანს ყელის საბერი.

ირგვლივ იები ნაირფერები,  
მინდვრის ყვავილებს მორცხვად უცქერენ,  
ფუტკრები მუდამ მათი ფერებით,  
სიტკბოს და სანთელს ერთად უმღერენ.

სიცხეც ბერდება და კარგავს ძალას,  
ნიავსაც დაუთმობს ცხელ-ცხელ ტატამს,  
ის გადაუხდის მხურვალის ღალას  
და კვლავ შემოჰკრავს ხელდახელ ტამტამს.

შეყუულ სახლში, შუქი ინათებს,  
ფრინველი როცა დაისაბუდრებს,  
ნასუქი ღორი კვლავ წაუხვრინებს,  
მშიერი ტურა კივის-წანნალებს.

უკუნს კი მთვარე არ აძლევს საქანს,  
ციცინათელა არ ირგებს საბანს,  
იმედიანად ანათოს რაღგან,  
ჭრიჭინა დღისით ხმით მისცემს მას ბანს.

იჭედებს ზეცად ვარსკვლავი ხვავლად,  
მას მოძრაობა უხდება ხანაც,  
ჩვენში სიკეთე იქნება მრავლად  
და კარგი დარი იქნება ხვალაც!

## **არ დავივინეოთ**

შევყურებთ ზეცას, ბოლო დრო არი,  
თითქოსდა მართლაც გაგვექცა უამი,  
ხანდახან მიწას გავარტყათ ბარი,  
ცა სამუდამო, სოფელი წამი.

რაც უფრო გადის ეს დრო და ხანი,  
მიტოვებული დაგვრჩება ბანი,  
ცოტაც აქაურს ვალიოთ ჯანი,  
არ დავივინეოთ ვინ ვართ და რანი.

## **პერი გაპრიველის შეგონება**

ღარიბს ზევიდან ნუ დახედავ, იქ არს უფალი,  
არავინ იცის ეს ცხოვრება ვის რას უმზადებს,  
დღეს შეიძლება მეფე იყო ან დედოფალი,  
ხვალ კი ვინ იცის, რომ გაგთელოს გაგამათხოვრებს.

უბრალოები თქვენს გარშემო მუდამ გიყვარდეთ,  
მათთან არს ღმერთი, რადგან მეტი სიხარულია,  
ნაკლი არ არის სიღარიბე, ეს სულ იცოდეთ,  
ღარიბის სახლში მეტი სითბო, სიყვარულია.

## სიცოცხლის იშტა

პირველად იყო ღმერთი და სიტყვა,  
წყაროს წყალივით სუფთა და წმინდა,  
ირგვლივ ჯანსაღი გარემო მინდა,  
როცა ჩვენს გონიში იქსო იშვა.

უკულმართობამ წალმა ვერ ხვრიტა,  
ვერც ამღვრეულმა წმინდა ვერ ხვრიპა.  
სანამ მომდევდეს ცხოვრების დვრიტა,  
არ მომეშალოს სიცოცხლის იშტა.

08.07.2023

## იმაზო

რადგან არასდროს არ არის,  
საკმარი ჩვენი ცხოვრება,  
ნერვიულობად არა ღირს,  
რაც ალარ გამოსწორდება.

თუ მუდამ სხვაზე იფიქრე,  
ან მხოლოდ მარტო შენ თავზე,  
მაინც ეულად იტირებ,  
ჰაერში ფრქვეულ სხვის ავზე.

ეს ცხოვრება კი მზით ავსე,  
იმედი ჰქონდეს დღეს ხვალე  
და შეწყობილად ათავსე,  
სიცოცხლე შენი ბრნყინვალე.

## არა ორგულობას

არა ორგულობას! ვლოცოთ ერთგულება,  
როცა ერთგული მეგობარი გვეგულება,  
არა ორპირობას! ვიხმოთ ერთპირობა,  
როცა მეგობარი არის პიროვნება.

ვიდრე ორპირობას შეცვლის პირფერობა,  
ყოვლად მოსაწყენი ყველგან ერთფერობა...  
როცა დიდგულობას შეცვლის დიდგულება,  
მაშინ ორგულობას შეცვლის ერთგულება.

## მოვი

ოოჲ რა დიდია ტრაგედია მომხდარი შოვში,  
მთელი საქართველო გაეხვია მწუხში და შავში,  
ცოცხლად რჩენილნი თავზარცემულნი, არიან შოვში,  
ბევრსაც ეძებენ, ვერ უპოვიათ ქალნი და ბავშვი.

ოოჲ რა დიდია ტრაგედია მომხდარი შოვში,  
არანაირი ფიქრი არ მომდის, მწუხრი მაქვს თავში,  
ხვალ რა იქნება სტიქია, თუ კიუინი ომში!  
ან კი რაღა ვთქვა! ღმერთო გვაკმარე ყოფა ამ ავში...

ღმერთი დიდია, დაგვიფარავს ყველა ამისგან,  
ღვთისმმობელი კი ააცილებს წილხვედრს ავისგან,  
მტერსაც დავხვდებით გმირულად და ყველა ამბისგან,  
გამარჯვებულიც ჩვენ გამოვალთ გასაჭირისგან.

## რაჭა

დღესაც ატარებს ნისლის ქუდს რაჭა  
ძირძველი კუთხე ყველა ქართველის,  
ერთგულ დარაჯობს პირნათლად, ის სხვას,  
ზამთარს გაწყობილ თეთრ საბურველის,  
კავკასიონით გასცემრის შავ ზღვას.  
ზაფხულს ტყეებით მწვანედ ხუჭუჭად,  
მწვერვალებიდან მოსჩანს ერთ მუჭად,  
ატარებს დინჯად ნისლის ქუდს რაჭა,  
ლამაზუკა და ანცი კუდრაჭა.

## მსგავსი იყო

როცა ცივ სხეულს ასვენებენ ხის სასახლეში,  
სულ ოთხი კაცი შეიცვლება შავ სამარემდე,  
მერე სამასი მოიგონებს, წავლენ სახლებში...  
ვიდრე ორმოცზე გაიხსნება ცა სამ არეზე.

გონის ავდარს გამოდარება უჭირს დარამდე,  
უკვე ორმოცნი მივლენ ბოლოს მძიმე წლის თავზე,  
სულს აცილებენ ანგელოზნი უფლის კარიმდე,  
ახსნიან ჭერს, თეთრი კოპალი ერევა შავზე.

თუ კი ვინმესთვის ოდნავათაც რაიმედ ღირდეს,  
მისი არ ყოფნა შინაგანად სინანულს ჰგვრიდეს,  
დარჩება გულში მტანჯველობად მანამდე ვიდრე,  
სანამ მტირალი ეყოლება, ცრემლებს რომ ღვრიდეს.

მარადიულში ან რა არის ეს ასი წელი,  
ჰეი შენ ჩემო, მენანები, არ გაგშორდები,  
ვისთვის ჩქარ-ჩქარი და ხანდახან კვლავ ასე ნელი,  
მილიარდებში ისეთი ხარ, არ მეორდები.

სამარადჟამოდ მეც უსასრულოდ შინ დავბრუნდები,  
შენი გულისთვის აღმართებზე კვლავ ავბრუნდები,  
მაგრამ იცოდე ყოველ წამში შენთან ვბრუნდები,  
რადგან ვიცი, რომ შენს ფიქრებში კვლავ არ ვხუნდები.

როცა ზურგით ხარ ჩემსკენ სახით სულ რომ ბრუნდები,  
აფრინდებიან თვალებიდან თეთრი ხუნდები,  
მტრედებად გაზრდას დიდი ხანი რომ მოუნდები,  
ჩემთვის უხვად რომ დაფრინავენ მათი გუნდები.

აღარ მოჰკლავენ შევედრებულს, ვით ჩემი ბედი,  
დაიღვენთება სანთელივით სარქმელს ნადები,  
არც თავს მოიკლავს ის ამაღამ ვით თეთრი გედი,  
რადგან ქალლმერთის მსგავსი იყო ქვისა ნატეხი.

## ჩანთები

ერთხელავ ჩვენსა გაჩნდაო,  
იტყვიან კვლავაც ანთებით,  
გამოჩნდა არა ჩანდაო,  
სულის მოძრავი ჩანთებით.

წავიდაო და დაგვტოვა,  
იტყვიან კვლავაც სანთლებით,  
საქმე და ჩანთა გვატოვა,  
ვითა ნაზიდი ყანთრებით.

## **გრანული გალად**

სადღაც გონება, დაწნული გალად,  
რითმები გამად, დაძრული ლალად,  
ორნატი გუთნის, დახნული ღალად,  
გასდევს ბელტები, გრანული ცალად.

## **გაგული**

ასე ლამაზი, ნარნარი გული,  
უსაზღვრო უცბად ალმოჩნდა ზღვრული,  
რა ვუთხრა “ექიმს”! ჩემო მაგული..  
დაგვტოვეს ყველა გულ დადაგული.

27.07.2023.

## კლასიკებს

თითქოს გუშინწინ დავრბოდით,  
მოკლე შარვლებში ყველანი,  
ბავშვურად რაზე ვდაობდით,  
ვის გადავასხით მელანი.

ჩვენ არაფერზე ვდარდობდით,  
მეტად არ გვჭირდა შველანი,  
და წვრილმანებზე ვხარობდით,  
“მთვარე” გვიტეხავს ხმელანი.

დავობლდით, დრონი გავიდა,  
ცხოვრებამ გვიგო ქევანი,  
ზოგიც იმქვეყნად წავიდა;  
კახა, კობა და ლევანი.

## ვანგობის მზესუმზირები

მთის ქედებიდან მომზირალებმა,  
სალალობოდან ოქროს სირმებმა,  
მზეს უმზირეს და როგორც ირმებმა,  
თავი ასწიეს მზესუმზირებმა.

მზეს უმზირეს და დაემსგავსნენ მზეს,  
ყვითელ სხივებით ამშვენებენ გზებს,  
შენსკენ მომავალს რომ აპობდნენ ტევრს,  
თან წმენდდნენ სულში დანადებ მტვერს.

შავი გიშრები თეთრ გულებითვე,  
მწყობრად ჩალაგდნენ, მზაობა იღეს,  
შეპირებული ერთგულებითვე,  
ფატებ-ჩადრებით თავები ნიღბეს.

შენს სიყვარულში დაკარგულები,  
სათუთ იქმნიან ღვთაებრივ ზეს,  
კვლავაც ლოდინში გათანგულები,  
თავიანთ თავში გინწიან მზეს.

მზეს უმზირეს და გახდნენ მძივები,  
ჩემი სულის და გულის სხივები,  
მეც შემიყვარდა და ვიმზირები,  
როგორც ვანგოგის მზესუმზირები.

## **სიყვარულით გვაახლოს**

თებერვლის ზამთარს, ხეში წყალ ჩამდგარს, ბუდე გამდგარს, ჩვენთვის იმედით, რომ ევსოს ეს გული ყოველის, თებერვლის თვეს, გაზაფხულის პირს, წილნაყარს და მდგარს, ჩვენთვის სიკეთით აევსოს ეს სული, ყოველთვის.

მაშ გაუმარჯოს ამ სიყვარულით ჩვენს გამთბარ გულებს, ზამთრის სიცივემ ვერაფერი ვერა დააკლოს და გაუმარჯოს ყველა ავისგან დე გამარგლულებს, რათა ამ ქვეყნად სიყვარულით მუდამ გვაახლოს.

## თავისუფლებას რითმაში ვეძებ

თავისუფლებას რითმაში ვეძებ  
ლხინს-უჟამობის მე ვარ მოლექსე,  
თუ კი სხვის გულსაც ვერას შევახებ,  
გრძნობას დავხატავ მე თეთრ მოლბერტზე.

ამ სტრიქონებში იმ შვებას ვეძებ,  
რაც დამანახა უფალმა განგებ,  
მინდა რომ მრუდეს რითმებით ვკვეცდე  
და ეს სტროფები მივუძღვნა გამგებს.

ფიქრებში მუდამ ცას კიბეს ვუგებ,  
ნაბიჯებს ვითვლი საფეხურებზე,  
გულის კარს ყველა შემხვედრს რომ ვუღებ,  
ბოდიშებს ვიხდი საყვედურებზე.

მხოლოდ გრძნობებში მეც ჩემს თავს ვეძებ,  
დაბადებიდან ვერწარმოთქმული,  
უფალო მე ხომ ყოველთვის გეძებ  
და შენს წინაშე ვარ ფეხმორთხმული.

## სამება

როდესაც ვნახე სამება,  
ენა კინალამ დამება,  
ცხადი იყო თუ ზმანება,  
სიხარულ-ცრემლით ამება.

შევყურებ დიდებულებას,  
სული სითბოთი მევსება,  
რითმები მებულბულება,  
აზრები გამელექსება.

გულს დარდი როცა მაწვება,  
ფიქრნი იწყებენ წამებას,  
მივალ ვილოცებ და შვება,  
მეგვრება, ქრება ღამება.

როდესაც ვნახე სამება,  
სიტყვა-სიტყვას ვერ წამება  
და ვინც ამ ტაძარს აგებდა,  
ყველა დალოცოს განგებამ.

## დღე ნათლისლებისა იუსო ქრისტესი

ნათლისლებისას, ნათელმცემელი იოანე,  
ნათლია იყო წყნარ მდინარე იორდანეზე,  
იესო ქრისტეს, ნათელ სხივების ვითარცა მზე,  
მტრედისა სახით სულინმინდა დაადგა თავზე,  
ხმა კი ისმოდა მამა ღმერთის ზეცით მიწაზე;  
“ეს არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ” მიწამეთ...

(მერე ურნეუნო ხელისუფალთ სასტიკ აწამეს..  
ქრისტიანებმა ალდგომა ქრისტესი იწამეს,  
და გავრცელება მოწამეობრივად ითავეს,  
სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი ამენ!)

## **შოთას „ვეფხისტყაოსანი“ და თამარი**

რა იქნებოდა შოთა რუსთველის, თუ არ თამარი,  
ქალი მეფე და ძლევამოსილი მხედართმთავარი,  
ფიზიკურადაც ულამაზესი, მზისა სადარი,  
სხვა შედევრი და სხვა მეფე ქალი მითხარ სადარი.

## **მიყვარს მთელი გურია**

მიყვარს ჩოხატაური და მიყვარს ჩემი გურია,  
მისი გზები თავბრუსმხვევი, ისიც საამურია,  
აღმართ-აღმართ მივუყვები გრძნობით განახურია,  
გურიის და გურულების სიყვარული მწყურია.

სურები და ნაბეღლავი, ბახმარო ხომ სულია,  
ბუნება და კრიმანჭული ჰარმონიით სრულია,  
საქართველოს, კუთხეების ის ლამაზი გულია,  
მიყვარს ჩოხატაური და მიყვარს მთელი გურია.

ჩასულ სტუმარს არვინ ჰკითხავს, ის თუ სადაურია,  
ლვთის ღიმილით გეგებება, განა ფასადურია,  
ხიდის თავშიც, სოფლის ბოლოს, ხალხი ყველგან ძმურია,  
ერთი ნახვით შეიყვარებ გრძნობის საბადურია.

მათი ცეკვა, სხარტულები, უკვე საგანძურია,  
მოფერება თბილი სიტყვა, მწიფე სეჭეჭურია,  
მიყვარს სუფსა, მისი ლელე, ჩხავრით სავსე ჭურია,  
მიყვარს ჩოხატაური და მიყვარს ჩემი გურია.

იქ შავი ზღვის სანაპიროს ქვიშა მაგნიტურია,  
ოზურგეთის ნატანები, ლელო ლანჩხუთურია,  
აგუნასაც ამლერებენ, წლისა მეკვლეურია,  
მიყვარს ყველაფრიანად და მიყვარს მთელი გურია.

## გურულების კალანდა

გამოიტანეთ გურულებო დიდი კალათა,  
მინდა ჩავაწყო სიხარულით, არა ძალადა,  
ქვეყნის სიკეთე ჩავდო წყვილად, არა ცალადა,  
კაცი კაცად, რომ გვენახოს და ქალი, ქალადა.

ყველა დიოდეს მთელს დუნიას მღიმარ, ლალადა,  
ასე სანატრელ ამ მიწაზედ..მთაში, ბარადა,  
როგორც გიგრძვნიათ თქვენ მშვიდობის ძალა, არა და...  
მას რომ ეკუთვნის ყველა ლექსი, ყველა ბალადა.

მინდა ჩავაწყო ტკბილეული, ხვავი, ბარაქა,  
რაც კარგი ნახა ჩემმა თვალმა და რაც დალანდა,  
იყოს ყველასთვის ამ ცხოვრების ტკბილი მარაქა  
და ხვავრიანი ყოფილიყოს მუდამ კალანდა.

## სადღეგრძელო

მე ვადღეგრძელებ ყველა გულიანს,  
გმირებს, მეპრძოლებს ხაკის ფორმიანს,  
დავლოცავ; ქართულ მიწას მადლიანს,  
ზღვას, მდელოს, მწვერვალს მარად თოვლიანს.  
სიმღერას უმღერ, მე მრავალხმიანს,  
გამოვცლი სასმისს, ლამაზფორმიანს.  
ლექსადაც ვიტყვი ერთს ლაზათიანს;  
ლოცვა-კურთხევით ვინც მოგვაქცია  
და მომავლისთვის სისხლი აქცია,  
ნინაპართ ხსოვნამ და ტრადიციამ,  
უხილავ მტერთან, მუშტად გვაქცია.  
ვინც არად აგდებს “კანფეტს ფოჩიანს”  
ვინც შთაგვაგონა “არა! ფორიაქს”!!!  
მე ვუდღეგრძელებ ოჯახს ნათლიას,  
ლვთისმშობლის წილხვედრს, ღმერთის-კალთიანს!  
ქართველთ ბიბლიას, შოთას კალმიანს  
და ნიკოს-მერანს, გალას მთვარიანს,  
ვაჟას-არწივს და აკაკის აკვანს,  
გლაბისგან მოკლულ, ილია მართალს!  
გოგებაშვილის ქართულსა ამაგს,  
ლუარსაბისგან გავრცობილ კვალსა!  
გურულ კრიმანჭულს, ფრესკაში ვაზაა,  
მრავალუამიერ ჰამლეტის ხმასა!  
ნინოს ნარნარს და ილიკოს გასმას,  
ჭაბუკიანის ოტელოს ტანჯვას.  
სუფრას გაწყვობილს, ფიროსმანიანს,  
ჯავახიშვილსა, სიმონ ქვარიანს,  
ფარნავაზიანს და გორგასლიანს!  
აღმაშენებელს, გუარამ მამფალს!  
ქეთევანსა და მეფე თამარს!  
ბოცოსძეთაგან გალავნის დაცვას,  
ასიათასსა განწირულ თავსა  
თბილისს, მთაწმინდას და ჩვენ მტკვარსა!  
დავით გარეჯის კელიას წმინდას,  
ფუძის ანგელოზს და ნიკორწმინდას!  
მტერთაგან ჩვენზედ, ნართმეულ მიწას,  
ყველანმინდასა და სულინმინდას!

## ერთად დასაქარგი!

საქართველო შენ არა გაქვს  
კუთხე დასაკარგი,  
ღმერთის მიწა კურთხეული  
ჩვენი დასაქარგი!  
სამაჩაბლო, აფხაზეთი,  
სამეგრელო, ლაზეთი,  
გურია და იმერეთი,  
ყველა ქართლი, კახეთი.  
რაჭა-ლეჩეუმ-სვანეთი,  
ქართველ-”ზანთა” დვალეთი,  
ფშავი!(ფხოვი), ხევსურეთი,  
”ქისტო”-პანკისი, თუშეთი,  
თიანეთი, მთიულეთი,  
ხევი-თრუსო, დუშეთი  
(მთის და ბარის კავშირი)  
აჭარა და ჯავახეთი,  
სოჭი, ლორე-ტაშირი.  
საინგილო-ჰერეთი,  
სამცხე, ტაო-კლარჯეთი,  
სულიერი მოდარაჯე  
ჩვენი დავით გარეჯი!  
იბერია, კოლხეთია,  
კუთხეების დასაბამი,  
ნიკოფისია, დარუბანდი,  
ისტორია და საზღვარი.  
რომელიმეს გამოკლებით  
ჩვენი ყოფა არა არის,  
მთლიანი და ერთიანი,  
საქართველო ასე არის.  
არ დაზოგეს გმირთა თავი,  
რაც გააჩნდათ იმათ კარგი,  
მათი ხსოვნა მუდამუამი,  
ამ მიწაზე არს და არის.  
ჩვენ არა გვაქვს, ერთი გოჯიც  
მიწა ჩვენით დასაკარგი,  
აქ მცხოვრები ყველა ხალხის,  
ერთად ზრუნვით დასაქარგი!

## **შეყვარებული**

აღარ ვიხსენებ იმ ვარდის რტოებს,  
მე რომ გიკრეფდი შიშველ ხელებით,  
ის დრო კი თავის ნაკვალევს ტოვებს,  
გამოწვეული... განა ეკლებით.

ჩაივლის ბევრი ჩვენგან კლებული,  
ლამაზი წლების გულით კრებული,  
მაგრამ იმედით ჩაფიქრებული,  
ვიყავ ცალმხრივად შეყვარებული.

## მასპინძლობა გურიაში

ბუხარს კეცზე სქელი ჭადი,  
წალმის, თხელი ნაკვერჩალი,  
შამფურს, უმზეურის მწვადი,  
ღელეს თევზი, ტაფას მწვარი.

ყველით სქელი ხაჭაპური,  
ნადუღი და ფხალი პრასის,  
ტარხუნა და ნიახური,  
სულგუნს ჯერაც რძე, რომ გასდის.

იქ ტყემალი საკვირველი,  
კანჭი შიგ რომ ჩაუნვინო,  
ლობიო ნიგვზით, კირკველი,  
დოქს ჩასხმული, ცივი ღვინო.

საცივი და ლომი ცხელი,  
კუჭმაჭს ბლომად ბრონეული,  
შემწვარ კუპატს კანი თხელი,  
კიტრი ახალ მოწეული.

მრგვალ-დედალი მოხარშული,  
სიმინდი, ხილი კალათას,  
გოჭის თავიც სიყვარულით,  
უმზერს ბოლოკით თამადას.

აბა კარგად მოილხინეთ,  
გემოზე “ჩოულიკვარტეთ”,  
ნასულნი მოიხსენიეთ  
და ერთმიანეთი გიყვარდეთ.

## სუფრა ქართული

აფხაზს, გურულს, მეგრელს, ლომი,  
კუპატი, ელარჯ, სულგუნს-ბოლი,  
აფხაზურა ბადექონით  
და კუჭმაჭი ხმელი ქონდრით.

იმერს თხელი ხაჭაპური,  
კეცზე წიწილ მუცელ-ქორი,  
ჭადი, პრასი, ჭყინტი ყველი,  
საცივს ინდაურის ხორცი.

აჭარელსა აჩმა ფურნის,  
კაიმალი და სინორი,  
აჭარული უმი კვერცხით,  
ყაიფასა და ჩირბული.

ხევსურებსა ხინკალ ცომი,  
ხავინი და ერბო-ქონი,  
ფშავსა, თუშსა, დამბალხაჭო,  
ყაურმ, გორდილ და კოტორი.

ყველა ქართლის კერძი მაწვნით,  
არჯაკელი, ბატი კომშით,  
ეკალა და სატაცური,  
ბოღლინო და კარგი “ოსტრი”,  
ოჯახურში კანჭი-ორი  
და წვინანი მარგი ოსპის.

მესხს და ჯავახს ქადა გულით,  
ნაზუქი და ფენოვანი,  
ჩეჩილი ყველი, ლუხუმი,  
თუთმაჯ მრავალფეროვანი.

ლეჩებუმ-რაჭას, შემერულ, ლორი,  
ლობიანი და ჯონჯოლი,  
ხვანჭკარასთან ცხარე ხარჩო,  
მისი საბადი და სარჩო.

სვანს კუბდარი, მთვარის ტოლი,  
ლუქნე, ქნაში და ჭვიშტარი,  
ნანადირევს ჟაკნის სროლით,  
ჩახრაკული დათვის ხორცი.

კახთ ხაშლამა, “სუკი” ლორის,  
ზუთხზე წვენი ბრონეულის,  
ყველი გუდის, პური თონის,  
ლოქო ქინძმრის, შილა დუმის.

ჩიხირთმა და ბოზბაშ-გუფთით,  
ლობიო კი თიხის ქოთნით,  
ტოლმა ვაზის ფოთოლით და  
მარინადი ორაგულის.

ხიზილალა ფერით ორით,  
ბადრიჯანი კი ჩანახით,  
კალმახსა კი შავი წინწეული,  
შეკმაზული წითელ ფხალი,

ჩაქაფული, ჩახოხბილი,  
ბუღლამა და თათარახნი,  
ქაბაბი და მწვანილ-კიტრი,  
ტკბილეული თათარათი.

ცოცხალი, მურწა, ჭანარი,  
მუუუში და ნივრით ხაში,  
ორასი გრამი ლავაშით,  
სათამადო გოჭის თავი,  
ისპანახია მალვაში.

ღვინო მორთმეული სურით,  
ლურჯი ორნამენტულ სუფრით,  
სიტყვა ნადიმს ქალაქური,  
განწყობილი სულით-გულით,

საშაირისა-საკალმასობა,  
სადღეგრძელოებით ბმული,  
დამფით-ხაზირ, დუდუკით და  
ბაიათით თბილისური.

## გურული ქვის კეცი

კლდისა თირს წაკაპით ანაკაპებს,  
პირთხელით კიდე, პირთხლავს,  
კეცებს მოსტაცებს მთაში ქარაფებს,  
მერე კი ცეცხლში ხალავს.

ოჯახის დედა ცომს მოზელს როცა  
და თავს მოუკრავს ყველსაც,  
დააკრავს მტკიცედ გახურებულ კეცს,  
უკეთესს ვერ ჭამ ვერსად.

ბაბუ ხალისით წითელ ადესას,  
ჭურიდან იღებს კოპით,  
როცა მიიტან სასმისს სახესთან,  
დაგისველდება შეფით.

იქვე ბოსტნიდან მოირბენს ბავშვი,  
მწვანილითა და პრასით,  
ბებიამ უკვე დატეხა ჭადი,  
მოაქვს კეუერა თასით.

დედალიც მალე იქნება მრგვალად,  
სხვაც მოგვესწრება მრავლად,  
მშვიდობა იყოს ოჯახში სრულად,  
სტუმარი ღვთისგან, ხვავლად.

## შევავსოთ სასმისები

დიდება უფალს მეგობრებო შევსვათ უფლისა,  
ის არს განმკარგი ყველა ჩვენგნის, წუთი სოფლისა,  
მისი ნებაა მოსვლა, წასვლაც ჩვენი სულისა,  
უფალს ვუმადლოთ ნადიმს შეყრა ჩვენი ყოვლისა.

მშვიდობა იყოს ჩვენს ოჯახში, მთელს მსოფლიოში,  
მშვიდობა იყოს თითო ჩვენი ფეხის ნაპიჯზე,  
მე დაგილოცავთ უღრუბლო ცას ყველა სფეროში,  
გოგო-ბიჭები ნავარდობდნენ ლალად ტაიჭზე.

მოდით დავლოცოთ პირველ რიგში ჩვენი მშობლები,  
დიდხანს იცოცხლონ, ხსოვნა ვუძღვნათ თუ ვართ ობლები,  
დამსახურება ხომ მათია რომ გვაქვს თვალები  
და ამ სამყაროს ხილვით ვტკბებით, გვიძგერს გულები.

გაუმარჯოს დედმამიშვილებს, ჩვენზე მაგრები,  
თუ ვინ გვაკლია მოვიგონოთ სამარადისოდ,  
ერთი სისხლი და ერთი ხორცი, ჩვენი ჯიგრები,  
კარგად გვყავდნენ და ოჯახებით ღმერთმა დალოცოს.

დავლოცავ დედებს, ჩვენს დებს, ჩვენს ერთგულ მეუღლებს,  
ვინც კი ეს სუფრა გაგვიშალა კეთილი გულით,  
დიასახლისს, იმ მანდილოსანს მე ვადლეგრძელებ,  
ყველა სტუმარს რომ ეგებება წრფელი ღიმილით.

მოსაგონარი შევსვათ ჩვენი გარდაცვლილების,  
ოჯახებიდან ვინც წავიდა, ვინც ჩვენ გვინახავს,  
უდროოდ იყო თუ დროულად ჟამი ცვლილების,  
ყველას დაგვეტყო მათი წასვლით, ხსოვნას ვინახავთ.

სამარადისოდ იყოს ხსოვნა, ჩვენი წინაპრის,  
ჩვენი პაპების, ბებიების და მეფეების,  
ვინც მოგვიტანა ჩვენი გვარი იყო საწყისი,  
და ადათ-წესი, სიძლიერე სათავეების.

იქ გამარჯვება შევუთვალოთ ქართველთ, ზეციურთ,  
დიდება გმირებს, თავდადებულთ საქართველოსთვის,  
მოყოლებული ოდითგანაც! თუ რა ღვთიური,  
გააჩნდათ დათმეს შეგნებულად, ჩვენთვის ყველასთვის.

მტრისა ჯინაზე, იბადება კვლავაც მრავალი,  
მაშ გაუმარჯოს ჩვენს პატარებს, არ ყავთ სადარი,  
მათ არ ენახოთ პირქუში ცა, მტერი მტარვალი,  
ბედნიერები ყოფილიყვნენ ან და მარადის.

უმარჯვოს ბიძებს ბიცოლებს, მამიდებს, დეიდებს,  
მათი ქმრების, შვილების ხონჩა კეთილ აივსეს,  
ვინც მისაბაძი საქმეები ჩვენვე დაგვიდეს,  
ვინც დედის და მამის ჯიგარი გაგვითავისეს.

მოღით ერთიც ვთქვათ, ვადლეგრძელოთ ჩვენ მეგობრები,  
ბავშვობისა და შეძენილი, თანამშრომლები,  
მათთან განვლილი ჩვენი ტკბილი მოგონებები,  
გვედში მდგომლები და სიკეთეს შერჩენილები.

ნათლიმირონებს, ნათლიებს, დავლოცავ ოჯახებს,  
ცხრა თაობაზე გადამსვლელს, ნათესავებს ალალებს,  
გამარჯვებულს ვხედავდეთ მათი შვილების სახეებს,  
ჩვენი რწმენაც ჩვენს შორის სიყვარულს რაც, რომ ალაგებს.

წინ წავინიოთ, დაგილოცავთ კარის მეზობლებს,  
იმ მეზობელს, კარგი თვალით ვინცა გვიყურებს,  
გაჭირვების დროს “კარგსაც” რომ ვერავინ მოასწრებს,  
“ცუდი მეზობლის ჭირომე”... ყველას სიკარგეს ვუსურვებ.

დიდი მადლობა თქვენ, თამადის დღეგრძელობისთვის,  
ვიცი წრედი რომ შეჰკარით, კიდე ბევრია სათქმელი,  
ყველას ერთად გველოცოს ერთობით საქართველოსთვის,  
დაუზარელად გვეკეთოს ჩვენ-ჩვენი საქმენი.

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყოს სამშობლო,  
გაბრწყინებული ჩვენს შვილებს ერთობით ენახოთ,  
ჩვენ კი სისხლით მორწყული აფხაზეთ-სამაჩაბლო,  
ჩვენს მიწას მცხოვრები ლირსეულ ძმებად გვენახოს.

მოდით დავლოცოთ ოჯახები, წმინდა კერია,  
სიყვარული და სიმტკიცე მუდამ გვქონდეს,  
ახლად შექმნილი ოჯახებით მრავლდეს ერია,  
მუშტად შეკრული არ იშალოს ის არასოდეს.

დიდება ჩვენს ეკლესიებს მართლმადიდებლობისთვის,  
სანთელი გვენთოს წმინდა ტაძრის ანგელოზთათვის,  
იხარე ჭერო, “გვაფხიზლე ლირსეულო მტერო”!  
ოჯახს მადლობა გულიანი მასპინძლობისთვის.

## **მამაო ორმანოზს**

სადაც არ უნდა წახვიდეთ  
ყველგან გიბრწყინავთ გონია,  
სიტყვა-პასუხი სამშვიდი,  
მუდამ თან დაგდევთ მგონია.

კაბოსნობა და კაცობა,  
თქვენთვის ნაზავი ტონია,  
ღვთისგან მადლმოსილი ხართ,  
მამა ორმანოზ, ტონია.

## ԱՇԽԾՅՈԵՐԸ

ածա հիշմո կարցօ “Ռոտո”,  
գամոմարտզո ւթեղո Ռոտո,  
դակոնցպէ սըզճա Ռոտո,  
ուստ ամեցծաւ համոժորդո.

Ո՞նդա? Տաժո Ցեգ լազաժո,  
ար մոցպէջո մյ դազաժո,  
Ռոցորու նպալո ւթեղ լազաժո,  
առորտէլլուց նազա տավժո.

Ո՞նդա, ոյոս դեֆաս Ցուրո  
և Ցեգ պայլո նալդո ցուդոս,  
մՑեյ, ծուլծուլ-Շրեմլ-նաշուրո,  
տանդաւ ուրուտ օացունդոս.

Մյ պայլացյորս մորհիշնօա,  
Սուբտա լզոնո, նզենո պարմնօս,  
հզենս ննապրյօնս շրհիշուա,  
տաօցուլո հզենո Ցուր-մնօս.

Կարցօ Տայմիս կարցագ մյմնելո,  
ալմոհնդեծա զոնց, հզենս Ռորոս,  
մյշերմյեթպայլո կարցօ մտյմելո,  
մօսո տամագոնծա-սխորո.

Արասոգյուս ար մոցվժլուցյուս,  
յարտպայլու լզոնո, սուբտա նզենո,  
սուբրաս դուաւ-սակլոս Ռուդյուս,  
Ցուրուտ, արսոնծոսա հզենո.

## სამტრედია

სამტრედიას როცა სტუმრობ,  
გული სიყვარულით ფეთქავს,  
დამერნმუნეთ სულ არ ვხუმრობ,  
სტუმრობდე, რომ თავად გეთქვას.

ბაჯალლო ხარ იმერეთის,  
სამჭედლო სიბრძნე-ნიჭისა,  
ძმობისა და თავდადების,  
ერთგულ მფლობელი საჭისა.

ხალხი მეგობრობით სუნთქავს,  
პურ-მარილით გაყვარებს თავს  
და მისი მზე ავსა სულს ნთქავს,  
რადგან სხივით გულებს ართავს.

შენ ყოველთვის სასურველი,  
ყველას საოცნებო მიწა,  
იმერს სამშვენ-საბურველი,  
ოდით, ოდიშს სამტრე-დიხა.

თქვეს მტრედების სავანე და  
სამტრედოსაც ფრენს მტრედია,  
საიდუმლო გავანდე და  
იცის, მიყვარს სამტრედია.

## მადლის მატარეპეპლი

საქართველოა კუთხეთ ნაკრები,  
დედაქალაქით ტოლერანტული,  
იქნება მუდამ გამარჯვებული!  
არასდროს იყო გონით ფანტული.

შუშანიკი თუ აბო თბილელი,  
საათნოვა თუ იეთიმ გურჯი,  
და ჩამოვთვალო რომელი ერთი?!  
ვინც როგორ შეძლო ის იყო ბურჯი.

სიტყვით თუ საქმით და სიყვარულით,  
ზოგი ჰანგით თუ კალმით და ფუნჯით,  
ზოგჯერ ადვილი და ბევრჯერ რთულით,  
იარეს სწორ გზით, ცოდნის საუნჯით.

ავლაბრელი თუ ორთაჭალელი,  
ხარფუხელი თუ ნარიყალელი,  
სოლოლაკელი თუ მთაწმინდელი,  
ვერა-ვაკელი, “ნახალოვკელი”.

კუკიელი თუ “ვარანცოველი”,  
ვარდისუბნელი, “იარმურკელი”,  
“ძალლისუბნელი”, “პლეხანოველი”,  
ლოტკინელია თუ დიდუბელი.

ზღვის უბნელი თუ “სანზონელი”,  
დილმელია თუ დიდი დილმელი,  
ისნელია თუ ნავთლუღელი,  
სხვისი უბნელი თუ ჩვენუბნელი.

ბუდისტია თუ მაპმადიანი,  
დუხაბორია თუ მალაკანი,  
კათოლიკე თუ გრიგორიანი,  
ცეცხლისთაყვანი, მზისათაყვანი.

ათეიისტი თუ თორას მკითხველი,  
კრძალვით დამრწევი იყვნენ აკვანის,  
არავინ იყო ცუდ განმკითხველი,  
მცოდნე ერთურთის ავან-ჩავანის.

ეს თბილისია ყველას მფარველი,  
ღვთისმშობლისაა, სადარდებელი,  
ჭირ-ვარამისა ბევრის მნახველი,  
სულის და მადლის მატარებელი!

## ვცდილობ

ვცდილობ არ ვჭამო ისეთი,  
შვილიშვილს მოსჭრას კბილიო,  
რომ წავალ, უთხრან ერთ-ერთი,  
იყო თბილი და ტკბილიო.

ეგრეც არ მინდა, მე რომ ვბჭობ..  
(სიზმარი, მერე ძილიო?!)  
მთავარი არის, ხომ ვცდილობ,  
არვინ დამწამოს ცილიო!

## გვირილამ უთხრა ყაყაჩოს;

გვირილამ უთხრა ყაყაჩოს;  
მინდორს რომელი მბრძანებლობს  
ნეტა ვინ იღებს აქ სარჩოს,  
ანდა ვინ როგორ მავნებლობს?

ამ კითხვას მე რად მაკადრებ,  
თითქოს მე ვიყო შუაში,  
მოდიან გულს მე მიჭამენ,  
თვრებიან თავის ჭკუაში.

მერე კი შენცა დაგბელენ  
და გაგპუტავენ ბოლომდე,  
სუყველას გადაგვთელავენ,  
პასუხად სასურველამდე.

თუმცა, არიან კარგები,  
სილამაზით რომ ტკბებიან,  
ლარნაკში ლამაზმანები,  
სიტყვებით თავს გვევლებიან.

მე მომიტევე დობილო,  
ეგრე არ უნდა მეკითხა,  
ერთ ბედად დაბადებულნი,  
ვყოფილვართ, მეტი რა გითხრა.

უჩინარს ტყეში გასძახეს;  
ეგრე არ არის იაო?!  
ია კი უხმოდ, ხან სახეს,  
ხან კი, ლურჯ თვალებს ხრიდაო.

## მა მოვიგონე სიზმარი

წუხელ მესიზმრნენ ქალები,  
ზღვის ნაპირს, ამორძალები,  
გულზე ეკიდათ ლალები,  
შვენოდათ მათ დალალები.

წარმტაცნი, არ აქვთ საზღვარი,  
ნიკაპ-ტუჩ, სახე-ლამაზი,  
თვალი, წარბ-წამნამს სამძღვარი,  
ლურჯი, ბრჭყუფიალა ალმასი.

ტანი კი თეთრი ბროლისა,  
მარგალიტებზე ხალები,  
ველზე ვარ თითქოს ბრძოლისა,  
ჩემსკენ მართული ალებით.

მეგონა, მაგრამ ვცდებოდი,  
მიმზერდა ქალთა თაბუნი,  
ფეხზე ვეღარა ვდგებოდი,  
მხვეოდა თითქო თავპრუნი.

მაკვირდნენ, გაკვირვებულნი,  
ემოციებით სულ ნელით,  
გონს მოველ, იყვნენ დაძრულნი,  
მოვიდნენ, ყვავილ-სურნელით.

წრე შემომარტყეს, მაწყნარეს,  
მომისპეს გზა და სავალი,  
მერე ნაზი ხმით მიმღერეს,  
სიტყვები მიძღვნეს ალალი.

სათითაოდაც დამადგეს,  
გვირგვინი, ვიყავ ვით ხარი,  
ხელებით ცაში ამაგდეს....  
...მეძინა აკი გითხარით.

## ვარდებს დავუფენ

მე ყველა ლოცვას ვეტყვი ამინ და  
კვლავაც დამინდობს ცოდვის მორევი,  
უღმერთოებთან ომი არ მინდა,  
ჩემში ცდუნებას ღმერთით ვერევი.

ადამიანურს ვერ შეველევი,  
ვერც სადიდებელს, ჩემსას ამქვეყნის,  
მე ყველა ლოცვას ვეტყვი ამინ და  
ვარდებს დავუფენ სავალს იმქვეყნის.

## გიბლიოთეკა

კარგად მახსოვს სუნი წიგნის,  
სოფლის ბიბლიოთეკის,  
ღამე როგორ ცოცხლდებოდნენ,  
მისი პერსონაჟები,  
მერე ქალაქს მაცილებდნენ,  
ფიქრი იყო სიზმრების  
და ცხადშიაც სულ დამდევდნენ  
მათი პერფორმანსები.

უთენია მაღვიძებდნენ,  
დილის გარიურაჟები,  
კაპიტანი ნემოს გემი,  
გულივერის მგზავრები,  
პაპა კარლოს ბურატინო,  
ჩიპოლინოს ამბები,  
ტვენის ტომი და ასტრიდის,  
პეპის გრძელი წინდები.

უზბეკური, ტაჯიკური და  
ქართული ზღაპრები,  
ოდისევსის ილიადა,  
არგონავტის აფრები,  
მიჯაჭვული ამირანი,  
ალანური ნართები  
და მსოფლიოს ყველა ერთად,  
მათი ბრძნული აზრები.

ათას ერთი ღამეები,  
სამნი მუშკეტერები,  
რენეს მატარებელი და  
ბრონტეს ჯეინ ეარი,  
ეგზიუპერის უფლისწული,  
უკვე ჩემთვის დღე არის  
და დუმბაძეს მე რომ ვხედავ,  
ეს ნათელი მზე არის.

რაც დრო გადის მოგონება,  
ის სიკეთით ანთია  
და დროდადრო ისევ მშველის,  
მესხმის მათი მანტია.  
კარგად მახსოვს სუნი წიგნის,  
კლდეისს ბიბლიოთეკა,  
იქ დაიწყო და ჩვენს შიგნით,  
გრძელდება რომანტიკა.

## ეს ქვეყანა სიყვარულით გაავსეთ

განა ყველას მოსაწონად  
გავჩინდი ამ ქვეყანაზე,  
ჩემსას ვამბობ ქალაქსა და  
სოფელსა თუ ყანაზე,

რაც არ მომწონს განა სხვისთვის  
სრულად მისაღებია,  
ცუდს არასდროს გავიფიქრებ  
რაც მე არა მრგებია.

განა ჩემსა მოსაწონად  
გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე,  
არ მინდა რომ ვისაუბრო  
კაცურ ანა ბანაზე,

ვისაც როგორ უხერხდება  
თავი გააქვს ხან ასე,  
მხოლოდ ერთი, ეს ქვეყანა  
სიყვარულით გაავსეთ!

## მიყვარს მა ყველა ქართველი

ტოლებელი თუ ნოღელი,  
ზემო არის თუ ბეგელი,  
ქვაყუდელი თუ გალმელი,  
ვაზის თუ ქორესუბნელი,

ჩემი წინაპრის კუთხელი,  
ჩემი სისხლია თუ გენი,  
ვიცი ყოველთვის მომელი,  
მეც ჩემი გულით, რომ გელი.

არ მოგეშალოთ ბეღელი,  
ხარ-კამეჩი და უღელი,  
დიდხანს ცხოვრება შეძელით,  
წისქვილს არ გქონდეთ უცრელი.

საამაყოა ნოღელი,  
გერქვას აკაკის სოფლელი,  
მსოფლიოს ამცნო ქართველი,  
სახე-ხატება რუსთველის.

(სხვა კუთხელი თუ ნოღელი,)  
გურულ-იმერელ, მეგრელი,  
ქართლელია თუ კახელი,  
ჯავახელი თუ მესხელი,  
აჭარელი თუ მთიელი.

ხევსურია თუ რაჭველი,  
ლაზი, აფხაზი, ხეველი,  
სვანი, თუში თუ ფშაველი,  
მე მიყვარს ყველა ქართველი.

## თბილი სიო

საიდანაც უბერავდა თბილი სიო,  
იქითკენაც მიიწევდა “ირისი”.  
მთაწმინდიდან იწვერება დაისი,  
და ფირუზად ირეკლება ტბა ლისი.

გორგასალის მიმინოდან  
აღმოჩენით “ჩახობბილი”-ს,  
შემდგომ შვილის, მეფე დაჩის,  
ვახტანგის-ძის გავრცობილი.

მეტები და ხარფუხია  
თითქმის პირველ სახლობისა,  
საიდანაც ქროდა სიო,  
თბილი, გოგირდოვან წყლისა.

ბუნებრივი ცხელი წყლებით,  
განკურნება იწყო ხალხმა,  
იქვე დარჩნენ ბევრი წლებით,  
შვება იგრძნო კაცმა-ქალმა.

აუშენეს გუმბათები,  
გაჩნდა აბანოთ უბნები,  
გალავანიც შემოავლეს,  
რომ ყოფილიყო ურყევი.

დიდხანს აღარც უფიქრიათ,  
რა დაერქვათ თან ხალისით,  
თავისთავად მას უწოდეს,  
შემოკლებით თბილისი.

გაგებით დიდად შემკული,  
სამშობლოს დედა ალაგი,  
წესებით, ზრდილად შერწყმული,  
ჩამხუტებელი ალალი.

ნიჭის მოყვარე, ერთგული,  
ტოლერანტული “სალამი”-თ!  
კოხტა აივნით თარგული,  
ეს ჩვენი თბილი-ს-ქალაქი!

## ქართულო სულო

ნაცრით ხატავდნენ, აქანდაკებდნენ,  
ბუმბულით წერდნენ ტყავზე სისხლითა,  
ცხენის ძუაზე ჰანგებს აწყობდნენ,  
გულებს ქარგავდნენ ოქროს სირმითა.

წინაპრის როკვა მოვიდა ცეკვად,  
სულის ტირილი წმინდა გალობად,  
მიუვალ გზების ვერ და არ კეცვად,  
მათი ლოცვა კი ჩვენდა წყალობად.

ვერ ძირკვავს მტერი ჩაქვითკირებულ,  
არს უკვდავების წინაპირობა,  
კაი ხანია ვართ მომავალი,  
როდის გველირსოს ჩვენც წინაპრობა.

შოთა რუსთველი და ფიროსმანი,  
კოსმოსში ფრინავს ჩვენი “ჩაქრულო”,  
თავგანწირული ვაჟთ გმირობანი,  
ქართულო სულო, შენ ვერ ჩაკლულო.

## პირველი სიყვარული

როცა აყვავდა იმ ხანად ნუში,  
მაშინ გამძაფრდა ის სიყვარული,  
გამილამაზდა ცხოვრება რთული,  
მდგრადობა ვიგრძენ გულში და სულში.

აყვავილებულ იასამანში  
შენ სურნელაბას ჩავისუნთქავდი  
და მერე ჩემი გრძნობის საბანში,  
მთვრალ თაიგულებს ლერწმითა ვკრავდი.

ფრთებსაც ვაცლიდი თეთრ გვირილებს და  
მინდა გამეგო შენი წადილი,  
ვეღარ ვხვდებოდი რად ქირქილებდა,  
მდელო მფრიალი, როგორც მანდილი.

როცა ყვავდება ყოველთვის ნუში,  
მოაქვს და მოაქვს ქარს სიყვარული,  
მაგრამ პირველის, ჩადებულ გულში,  
გამხელა იყო ძალიან რთული.

მაშ სიყვარულო არ მოიწყინო,  
ჩემში იქნები მარად მხატვრული,  
აღარ იდარდო, ლექსად ვამხილე,  
ჩემი ფიქრები, შენგან ნატრული.

## ვახტანგ გორგასალი

ქართველთ მეფე “ვარანგ ხვასრო თანგი”,  
მტერს უგებდა მგლის და ლომის ხაფანგს,  
მას შეარქვეს შიშით გორგასალი,  
ქართველობა უწოდებდა ვახტანგს.

ეკლესიას ქრისტეს ზართა ჰანგი,  
გაუმძლავრა, სახელმწიფო ალაგს,  
ბუნებრივი თბილი წყლების განძი,  
დაულოცა თბილის-დედაქალაქს.

უძლეველი ვახტანგ გორგასალი,  
დაჭრილ ცხენსაც ზურგით არატებდა,  
რა იცოდა თურმე მტრის ვასალი,  
რომ პერანგის ამბავს გაიგებდა.

მხართან ჰქონდა ჯაჭვი გარღვეული,  
ბრძოლაში მტერს მრისხანედ ებრძოდა,  
მოღალატე ჭკუა ამღვრეული,  
დამიზნებით მას ისარს ესროდა.

დამძიმდება მეფის ჯანმრთელობა,  
ბრძოლა მტერთან არ ატოვა ჯარმა,  
მომაკვდავი მეფე ქართველობამ,  
მიაცილა ციხე კოშკს უჯარმას.

დაუბარა ყველას ვინც იქ იყო,  
“მტერიცეთ იდექთ სარწმუნოებაზედ,  
ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესათვის  
და წარუვალ დიდებას ჰპოვებდეთ”.

მერე პირმშოს დაუძახა, დაჩის  
და გადასცა ტახტი საქართველოს,  
ერისთავთ კი სახელითა ღმერთის,  
სთხოვა ოჯახს ერთგულ უმფარველოს.

როს ჩამოჰკრა დიდმა ზარმა გლოვის,  
გოდებისგან მიწაც კი იძროდა,  
არ ისმოდა ხმა ქარების ქროლვის,  
რადგან ხალხი მეფეს ხმით ტიროდა.

## თელავის პავასიონი

თელავს ეგება ცის აფრად,  
სან ჩუმად, ხანაც რიხებით,  
ცაში აჭრილი ცისა ფრად,  
თეთრი თოვლისა შტრიხებით.

პანორამაა გაშლილი,  
ბერმუხა კავკასიონის,  
მოვდივარ! თბილისს აშლილი  
და მომაქვს მადლი სიონის.

მომყვა გომბორს ალიონი,  
ვით მოლურჯო ლამპიონი,  
ნისლი, კვამლი ყალიონის,  
ქედს მოუჩანს კანიონი.

მიღვივა ფესვი მესხეთის,  
როგორც მუხტი კატიონის,  
წარმოშობა კი კოლხეთის,  
დამაქვს ხიბლი თან რიონის.

მიყვარს მე კავკასიონზე,  
ლეგენდა ერისიონის,  
ჭრილობა საქართველოზე,  
ერეკლე ბაგრატიონის.

## ლურჯი უარს

შორით დაგლანდე, ზღვის ნაპირს, ბულვარს,  
მინდა სისაცხე სიცხისგან მხურვალს,  
არც არაფერზე არ ვიტყვი უარს,  
თეთრ მკერდზე მფიქრალს, ბაგეზედ მწყურვალს.

წყლის წვეთებისგან ახლართულ წამნამს,  
ჩამოეჩრდილა ქუთუთო თვალთა,  
შენი სითეთრის ელვარება მწამს,  
რუჯს, რომ დაჰკრავდა უბისა კალთას.

ჩემი გონებით ვემსგავსე შტურმანს,  
უკიდეგანოდ ფიქრებში მცურვალს,  
სწორად მომართულ სიკეთის შტურვალს,  
ბოროტებისა, აუგის მძულვარს.

შორით დაგლანდე, ბულისგან მხურვალს,  
მინდა მოვედო ნიავად ბულვარს,  
არ მინდა მცნობდე როგორცა მტარვალს,  
სიყვარული ვარ ნუ მეტყვი უარს.

## **17 გმირი.“შინდისელები“**

ჩვიდმეტნი იყვნენ ბოლოს, დაზრდილნი,  
“ალგეთს ლეკვები მგლისანი”, მგლები,  
ბრძოლისა ველზედ სამარადისოდ  
დაირქვეს “გმირი შინდისელები”,  
ბრძოლა აჩვენეს გაუგონარი,  
ჯავრი იყარეს ჩვენი მტრისანი,  
ზოგს დედა დარჩა, ზოგსაც ცოლ-შვილი  
და ზოგსაც მარტო შინ დის ცრემლები.

## დავით აღმაშენებელს

შენ საქართველო ატარე მხრებით,  
და მასზე ზრუნვა, ფიქრები თავით,  
ალმშენებლობით და არა ნგრევით,  
სიტყვები გბედე რითმებით დავით.

მტერთან სამართალს იქმნ ვერა დავით  
და უქარქაშოდ აიღე ხმალი,  
წინ მიუძღვოდი ხალხს მტერზე ჯავრით,  
ყივჩალს უღვივე სამშობლოს ვალი.

შვილებს უტოვე შენ დარუბანდი,  
რომ იწყებოდა ნიკოფსიიდან,  
გაჭირვებულებს ცრემლებსაც ბანდი  
და ეგ დაიწყე შენ თბილისიდან.

ერთიან ძლიერ საქართველოში,  
ყველას უჩინე ადგილი თავის  
და დაგვიტოვე ჩვენ სამშობლოში,  
საგალობელი გმირობის დავით!

## არა იყო გვარი მისი

ვარდის ტოტზე ვნახე მჯდარი,  
ეს წითელი ჩიტი,  
ეცვა ტანზე მოქსოვილი თითქოს,  
ჭრელი ჩითი,  
შევეკითხე თუ იცოდა ანდაზა  
ან ძველი მითი,  
მიპასუხა მან ჭიკჭიკით,  
სიტყვა იყო მჭრელი, მყისი;  
“არა შეჯდა მწყერი ხესა,  
არა იყო გვარი მისი”

## ნარიყალაზე

ნარიყალაზე გადმოვდგები და  
პარჯვარს დავიწერ ჩოქვით,  
ღმერთს შევავედრებ მე ჩემს ქალაქს და  
ქუჩებს დავივლი ლოცვით.

“ნარინ-კალა”-ზე, მცირე-ციხე-ზე,  
მუზა ჩამიფრენს ქროლვით,  
არსად გავუშვებ ჩემში ვატარებ,  
თბილისს ვუმდერებ თრთოლვით.

## გოგონა ცალი საყურით

იქნებ გოგონა შენ მარგალიტის  
ცალი საყურე დაგიკარგია?  
და შემომხედე სრულიად უცნობს  
გამიღიმე, მთხოვ რომ მოვძებნო..  
იქნებ გოგონა შენ ჩემი გული  
მაგ გამოხედვით დაგიდაგია  
და სამუდამოდ ვერც მივხვდე რას მთხოვ...  
განწირული ვარ ფიქრები ვტკეპნო.  
ან იქნებ თავად დიდი მხატვრის  
ვერმეერის გოგონა ხარ მარია?  
მან მოგახედა რათა სიცოცხლის მჩუქნელს,  
სამუდამოდ დაეტოვე და ყველას გვეთქვა რა მაგარია?!..

## პივილი

ორ მეგობართან მისეირნობდა  
ნორვეგიელი მუნკი, ედვარდი,  
ცოტა ჩამორჩა, ღობეს მიეყრდნო,  
აღელვებულმა იგრძნო ტკივილი,  
მზე ჩადიოდა, ზეცა სისხლისფრად,  
შემოჭრილიყო მუქად ფიორდი,  
ქალაქს ვით ცეცხლის ეხვია ალი  
და იბადებოდა სულის კივილი..

## არ დაგანებებ

როცა იღია მამაა ერის,  
აკაკის სიტყვას მსოფლიო მღერის,  
ვაუა აცოცხელებს ყვავილს და ბალახს,  
სიკვდილ სიცოცხლის საზღვარსაც ლახავს.

ტატოს მიაფრენს ქიმერიონი,  
ის ჭაბუკია მარად და მარად,  
გალაქტიკიდან გალაკტიონი,  
უქრის ხეთა ჯარს, სიოდ და ქარად.

რუსთველი როცა ღამე ნათენებ,  
სიყვარულით ქმნის იმ მეგობრობას,  
ჩემო სამშობლოვ, არ დაგანებებ!  
არ გაგრძნობინებ მე შენ ობლობას.

## **მამაჩემს რომ ჰყავდა დედა**

მამაჩემს კი ჰყავდა დედა, ჩვიდმეტ წლამდე,  
ძმის სიყვარულს უმწვავებდა მას ობლობა,  
მათ სტანჯავდათ ერთი გრძნობა, იქ წასვლამდე,  
ერთი დედის, წართმეული მზრუნველობა.  
მამაჩემს, რომ დედა ჰყავდა ჩვიდმეტ წლამდე.....

## ადამის ევა

გამოვჩნდი და დაგენახე,  
შენი სიხარულისთვის,  
რადგან მანამ მოიწყინე,  
ხილი მაინც მიირთვი,

გატყობ დრო რომ აღარ გრჩება,  
ჩემი სიყვარულისთვის,  
სცადე იქნებ მოგეწონოს,  
ტკბილზე უარს ნუ იტყვი.

დღე და ღამე შენზე ვფიქრობ,  
რა ვიღონო არ ვიცი,  
მოწყენილი ნუ ხარ თორემ,  
შენი ცოდვით დავიწვი.

გამოვჩნდი და დაგენახე,  
სამუდამოდ დავიცდი,  
თუ არ სცადე ვერ გიშველი,  
მასეთ ყოფას განვიცდი.

იმ დღეიდან რაც დაგვერქვა  
ჩვენ ინი და იანი,  
მე ვარ მარად შენიანი,  
მე ვარ ადამიანი.

ამ სიცოცხლეს დაეწაფე,  
ნუ ხარ შენ ნაღვლიანი,  
მხიარულად გაატარე,  
ყოფა მრავალწლიანი.

## ერისკაცები

ერმა-ბერმა შეგიყვარათ,  
სიცოცხლეში ტანჯულო,  
საქართველოს მოევლინეთ,  
თქვენ კაცობის მსაჯულო.

საქართველოს სუფთა ხელით,  
შეალიეთ ცხოვრება,  
მრავალ შიმშილს გაუძელით,  
ღმერთმა მოგცათ ცხოვნება.

მთაწმინდიდან კვლავაც ზრუნვით,  
მარად სამშობლოსათვის,  
უკვდავების წრეზე ბრუნვით,  
ხატად სამლოცველოსთვის.

(სიტყვა ლექსად მეძალება,  
ჩემებურად გავრითმე,  
პატივი და მოკრძალება,  
თაყაიშვილ ეკვთიმეს).

## გალას

პოეტების მეფე ხარ და მთვარე ცრემლით გბანდა,  
სიტყვა-რითმა პოეტური დრომ ვერ გააგალა,  
სტროფები კი გალაქტიკას ირგვლივ მოეფანტა,  
ლექსის წერა შემოგბედე, მაპატიე გალა.

## გალას მერის მერი

ლექსი როგორ ვწერო გალას მერის მერე,  
ანდა როგორ ვხატო ფიროსმანის მერე,  
როგორც მე მინდოდა ისე ვერ ვიმღერე,  
მუზა რომ მოვიდა ჩუმად ჩემთვის ვწერე.

მაინც ჯვარს დაიწერს ღამე მერეც მერი,  
ისევ დასველდება დილას ნამით ველი,  
ისევ გამოჩნდება შედევრები ბევრი,  
მაინც ვხატავ, დავწერ, შედეგს თქვენგან ველი.

## ანა კალანდაძეს

პოეზიის მეფე იყო გალა,  
დედოფლობას იმსახურებს ანა,  
ქართულ ლექსის გენია და ძალა,  
ერთად ჰქონდა როგორც ანაბანა.

## იუბილე

იუბილეზე ვიყავით,  
მამუკა გოგოხიასი,  
ორმოცდაათის შესრულდა,  
ბუხარ გიზგიზებს შინოში,  
დავლოცეთ ყველამ ლამაზად,  
არ იყო ჩვენში გნიასი,  
თამადა დარბაისელი,  
მან არ ჩაგვახრჩო ღვინოში.

ცოცხლები ყველა დავლოცეთ,  
ვიგონეთ კობა, დიმიტრი,  
თავდადებული გმირები,  
სამეგობროდან წასულნი,  
საქართველო ვადლეგრძელეთ,  
ერთიანი და მთლიანი,  
ანმყო მომავლის სიკეთე  
და გავიხსენეთ წარსული.

ბოლოსკენ ცოტა ვიმღერეთ,  
გამოგვივიდა ხალხური,  
ხმები ერთმანეთს შევუწყეთ,  
რადგან არ გვქონდა ფანდური,  
დაშლა არმოშლა ვახსენეთ  
არ დავივიწყეთ მსახური,  
სახლებშიც დროზე მივედით  
არვინ დავტოვეთ წანდური.

## ნეიდა ნინო

სადაც მაყვლის ბუჩქი ვნახე,  
იქ მომესმა ქადაგება,  
ის ადგილი ცრემლით ვნამე  
და მომინდა გადაგება,

რომ გამეგო, ჩავწვდომოდი,  
იმ დროინდელ გულის ცემას  
და მაშინვე დავდგომოდი,  
აქა მოსულ მართალ რწმენას.

მაყვლის ბუჩქთან ხმა მომესმა,  
იქვე ვიდექ მეც ეზოსთან,  
გულმხურვალე ლოცვა ჰქონდა,  
წმინდა ნინოს იესოსთან.

ვაზის რტოთი ჯვარს სახავდა,  
ნაწნავებით ამაგრებდა,  
იესო კი მადლს ასხავდა,  
ნინო, წმინდას ქადაგებდა.

სადაც მაყვლის ბუჩქი იდგა,  
სასწაულებს ქმნიდა ნინო,  
ღვთისმშობელი თავზე ედგა,  
ქართველები ვსვამდით ღვინოს.

## გონის გასხივოსნება

გამოცნობა გაჭირდა, გულს არ უნდა ცდუნება  
და მისნობა დამჭირდა, რომ დავთრგუნო ცრუ ნება.  
მდინარს მდარე დინება, არ გარგებს მოდუნება,  
ცრემლს ცხარე დადინება, თავის მოკატუნება.

არსაცინზე ცინება, ცხოვრებაზე გინება,  
ამდენ აქაქანებას თუ კი ვინმემ გინება.  
თუ კი არ ხარ თავნება და გაქვს პატიოსნება,  
მოვა გაბრწყინება და გონის გასხივოსნება.

## დედოფლის წყარო

თამარ მეფე მეუღლითურთ,  
სტუმრებია კამბეჩოვანს,  
ხორნაბუჯში ოქროს თასით,  
წყაროს წყალი შეუსვია,  
კამკამას და მსუბუქს როგორც,  
გემრიელს და ჰაეროვანს,  
წყურვილიც და კარგი ზრახვაც,  
უმაღ აზრით შეუვსია.  
თიხის მიღით წყალი ციხეს,  
არემარეს მიეყვანათ,  
ბრძანა მეფემ, ოლონდ წყაროს  
სათავე არ დაერღვიათ,  
შეუსრულეს თამარს სიტყვა,  
ირგვლივ ხალხი მიევანა,  
დედოფლისწყარო უწოდეს,  
ხსოვნაშიაც, რომ ეღვიათ.

## მეზარება

დღოზე მიფიქრია, გარდაუვალობის ხშირად მშინებია,  
დღონზე უმალ ქრიან, გორდა უვალობის შირმად მინებია,  
ზიარ შემეჩვია, უკვდავების სხივი, მარად მეზმანება,  
კი არ მეშინია! შეწუხება სხვისი მაგრად მეზარება.

## ცხადი სიზმარი

თონედან შოთი მომქონდა,  
მეგებნენ ატეხილნიო,  
წამართვეს, მთელი რომ მქონდა,  
მიგდეს წვერ მოტეხილიო.

გზაში დავხედე მეწყინა,  
მიმსგავსებია სამშობლოს,  
წინაპართ ლანდი მეყინა,  
ძერწავდნენ იქ საქართველოს.

ყუა ვამსგავსე აფხაზეთს,  
მუცელი ტაო-კლარჯეთსო,  
სამაჩაბლოიც გულსა ზედ  
ედარებოდა ნაგლეჯსო.

მეორე წვერი ჰერეთი,  
ირგვლივ ნაძიძგნი რკალიო,  
და შელახული გარეჯი,  
სულიერების კვალიო.

შოთს რომ დავხედე შევიცან,  
მტრისგან ნანატრი რუქაო,  
ის ალარ იყო ვერ ვიცან,  
ბავშვებს, რომ ძაან სურდაო.

ვერ შევიკავე ტირილი,  
ცრემლი წამომსკდა თვალსაო,  
უცბათ მინდოდა ყვირილი;  
მტერო მოგიშლი რვალსაო!

ერთ დროს შეგაკლავ თავსაო,  
მე არ შეგარჩენთ ავსაო,  
უცოდველ მომავალსაო,  
არ დავუტოვებ ვალსაო.

## ჩემო სამოგლო

თუ სიყვარული არ არსებობს მარადიული,  
მაშინ რა არის ეს ცხოვრება თვალად ხილული,  
თუ ვერ შეიგრძენ სიცოცხლეში, მოხვედი რისთვის?!  
მაშინ გამოდის, რომ გიცხოვრია, არაფრისთვის!

თუ არ დათესე სიყვარული შენს სამშობლოში,  
სამეგობროში, თუნდ ზოგადად, საახლობლოში,  
არ დაეხმარე გაჭირვებულს ორიოდ გროშით?!  
ხელს ნუ შეუშლი, იყავ შენთვის შორიახლოში.

ღმერთო მიხდინე, მომასწარი ჩემს პრაქტიკაში,  
ცოდვილ-ფიქრების ყველა კვალი რათა წავშალო,  
რაც სიყვარული რამ არსებობს გალაქტიკაში,  
სულ ყველა ერთად შენთვის მინდა ჩემო სამშობლო.

## **აკვილები**

დაბადებიდან, რომ ჩამანვინეს მე ხის აკვანში,  
არტახებ გაკრულს კარგა ხანი მარწევდა დედა..  
არ დავიჯერებ, რომ მე მონობა მერგო თავანში,  
რადგან წყურვილი თავისუფლების, მომდის მანდედან...

## 30 ԵԿԱՐԴՈՒԹՅՈՒՆ

ոյսօ Քանչզարս-  
գայրուղո, Քանչզոտ  
հզենս լոռզեծի,  
լմերտուտ յիուղեծողա.

ամալլադա նյուագ,  
մոզուցա լոռբելլագ  
դա հզենս լուլլեծի,  
դամկուցրդա մարագ.

մյ զոնցը პորչզարս,  
զանտեծ յըրտ սանտելս  
դա մշետեռզ լոյգալս,  
ցիաս մոյգամ նատելս.

ցնուցո პորճատլագ  
սարցո “հյումո չզրուս”,  
րապ սաբարյեծլլագ,  
դրոցագրո մոյքորս.

թյուղեցա մալա...  
զար մագլոնծելլո....  
պարագրուսատզուս...  
լուզուրյեծա մուգուս...

## კლდეისის პოეტა ველი

კლდეისის კოხტაველი  
“ქვევით წყაროს” ჩაყოლებას,  
ოლრო-ჩოლრო ბილიკებით,  
დაბურული მიუყვება,  
ასკილ-ვარდის თილისმებით.

მარცხნივ მხარე, ჩადის ჭალას,  
მარჯვნივ, სოფლის ასასვლელზე,  
პირდაპირ, კი გზას რომ გავალთ,  
აღმოვჩნდებით, კოხტა ველზე.

ყვავილებით გადაპენტილს,  
ნაირფერი დასტრიალებს,  
თითქოს ფატა იქ პატარძლის,  
მოურთიათ ლამაზ პეპლებს.

შეუგრძვნია ჩვენს წინაპრებს,  
შეურჩიეს ეს სახელი,  
მომავალსაც სულ ანცვიფრებს,  
ეს ლამაზი, “კოხტაველი”.

## კლდეისის ნო. ელია

გამოიდაროს, შეგთხოვთ ელია,  
გამოდი მზეო! შენ სხივს ელიან,  
დიდხანს მტირალი ცა ზე ნელია,  
ამ დროს ღიმილიც დარდობს, ძნელია.

კალთა გვაფარე ღვთისამშობელო,  
და გაიხარე ხალხო მშრომელო,  
გამოდი მზეო! ლამაზო, მთელო!  
და დაიფარე შენ საქართველო.

## 9 აპრილი

“დაუკარით” უსინათლო გულით მღერის,  
გოგო-ბიჭებს ცეკვის ჟინი გასჩენიათ,  
თავისუფალ საქართველოს მოლოდინში,  
ახალგაზრდებს სახლში რაღა დარჩენიათ.

“რომ ძველ ხანჯალს” ობი აღარ მოსდებია,  
ყველა ერთად მძლავრ მუშტადაც შეკრულია,  
შიშის გრძნობა არასოდეს ჰყარებია,  
მაგრამ ეს დღე სამწუხაროდ ბედკრულია.

“ელდა ეცეს, გაისარჯოს” ტანკის გრუხუნს,  
წინ დაუდგნენ, ბიჭები კი შიშველ ხელით,  
ალესილი ნიჩბები და საწამლავი,  
ულმრთოებმა მოიქნიეს როგორც ცელი.

“და ბრძოლებში” გადაუდგნენ გოგოები,  
უმოწყალოდ რომ ჩეხავდნენ ვანდალები,  
“გაისარჯოს” საშინელი ის კადრები,  
გამზირი რომ გადაავსეს მათ გვამებით.

“ცხრა ლახვარი რომ ჩამარტყან ცხრაჯერ გულში”,  
თავისუფალ საქართველოს სიყვარულში,  
რუსთაველზე “ცხელი გული ასვენია”  
და გმირები ცხრა აპრილის გამთენიას,  
ჩაეწერნენ თავდადებულ ისტორიას.

## არდადეგები ჩოხატაურში

არდადეგები, ჩოხატაურში  
ჩაის სურნელით დილა,  
გურული ღვეზლებით,  
ლელვის მურაბით,  
ფორა სუფრას შლიდა.  
მოგონებები ტკბილი ყოველთვის  
დღისით “ბრისილიმიაუ”  
მერქ სუფსაზე თევზაობა  
და სალამოს “სეფე მუაო”  
გურულ იუმორს ენამოსწრებულს  
ვიგებით ყოველ წუთს ყველგან,  
გვხედავდნენ ჩაბჟირებულებს  
რომ უხაროდათ სწორედ ეგ ჩვენგან.  
ბებიას ძმისა მირიანისა  
ტყუპები გმირი და დევი,  
მშრომელები და სტუმართმოყვარე  
ხასიათშიაც თანმდევი.  
არდადეგებზე მათ ოჯახებში  
სიცილი, დიმპიტაური,  
სულ მეყვარება ბიძაშვილობა  
და ჩემი ბავშვობის ჩოხატაური.

## ქათა შვილები

იკრიბებოდნენ ძმათა შვილები,  
მათ ერთად ყოფნა სურდათ,  
დრო იყო.. თავად იყვნენ თბილები,  
არაფრის არა შურდათ.

მათი შვილებიც იკრიბებოდნენ,  
მამებს ბაძავდნენ განა?  
ურთიერთობით თავად თბებოდნენ,  
იყო ასეთი ხანა.

ჩვენც ვიკრიბებით მათი შვილები,  
თუ კი დრო დაგვრჩა ხანა,  
ვართ იგივენი, გვარად თბილები,  
დროდადრო ხანდახანა.

## ნიკალა და ვინცენტი

ვინცენტ ვან გოგი, როგორც ის ფრანგი,  
ნიკალა ქართველი, გენია რანგით,  
აბსენტი, ღვინო სხვა რაღაც ბანგი,  
თუნგით ნასვამმა იზიდეს ჭანგით,  
მხოლოდ თავის თავს უტეხეს ჯანყი,  
მსოფლიოს თავი მიართვეს ლანგრით,  
როს დაუდუმდათ გულების ჰანგი,  
მერე უკვდავყვეს არლნით და ჩანგით.

## **ბალდათის მცხერი**

ბალდათის კი არა მთელ საქართველოს დააწვა მწუხრი და ეს მუხტალი, თითქოს მშიერი იტაცებს ბავშვებს, მეტი რაღა ვთქვა, გაოგნებული მუხლსაც კვლავ ვუხრი, ნეტა როდემდე ჩვენო ბუნებავ ჩაგვაცვამ შავებს.

უფალო ღმერთო, დედა ლვთისაო, იესო ქრისტე,  
შენ დაგვიფარე ყველა ჩვენგანი განსაცდელისგან,  
გვაკმარე მწუხრი მოულოდნელი რომელიც ქრის, დე  
ყველგან ისადგუროს სიხარულმა, რასაც ელიან.

## **ლამის ქალაქი**

წუხელ გავედი ღამის ქალაქში,  
გახვეულიყო ყველა ლაქლაქში,  
მაგრამ ჩაგრული, ვიყავ ჩართული,  
რადგან არ მესმა არსად ქართული.

## კოხტა ლექსი

მიყვარს კოხტად ნაფიქრალი,  
ფერიც კოხტა არა მკრთალი,  
წითლად მღვივი ნაკვერჩხალი,  
არა ნაცარ, ნასახლარი.

მიყვარს კოხტა ამორძალი,  
კოხტა ქალის კოხტა ხალი,  
კოხტა ველი, კოხტა სახლი,  
კოხტა სიძე-პატარძალი.

## **ყანჩელს**

როცა გენიას კრძალავდნენ,  
იღვენთებოდა სანთლები,  
თვალებს ცრემლები ძალავდნენ,  
ზეცას სიჩუმის ჰანგები.

## **100000 მონაბი**

ასიათასი უფარ-ხმლო, მოხუცი, ქალი, ბავშვი,  
აიძულებდა ურჯულო მდგარიყვნენ ხიდის თავში,  
წამოსულიყვნენ ეთელათ, წმინდანთა სახე ხატში  
და მათ სიკვდილი არჩიეს...თავები ჰყარეს მტკვარში.

ჩვენ მაგალითი გვაჩვენეს გვეცხოვრა სიყვარულში,  
არ შეურაცხყვეს ღვთისმშობლის კალთა თავიანთ სულში,  
საუკუნეებს გაუძლებს გმირთა ამბების წნულში,  
ასიათასი მოწამე, ჰყავს საქართველოს გულში.

## ტაძრად გადასაქცევი

ცუდიც ბევრია ამდენად,  
სურნელოვანი ყვავილიც,  
კაცი რას ეძებს ამქვეყნად,  
ის არის სახე-სამხილიც.

საქმეა არა საკვეხნად,  
არცა ვინმესგან საქცევი,  
ცხოვრება არა ტავერნად,  
ტაძრად არს გადასაქცევი.

## **„პერესადნოი“**

მამა, გადავიდეთ ხიდზე?  
შვილი მზერით შეევედრა,  
“მუშტაეთში” წამიყვანე,  
ხვეწნით ყელი მოიღერა  
და გამოჩნდა სანატრელი,  
ხიდი ლიანდაგებს ზედა,  
იქვე იდგა ციგნის ქალი,  
“სიგარეეტიი, დონაალდოოო,  
კლუბნიჩნი ი პიედრა, პიედრაა”

## ცის პირე

ფიქრში ცას კიბეს მუდამ, რომ უგებ,  
ნაბიჯს, რომ ითვლი საფეხურებზე,  
გულის კარს ყველა შემსვედრს თუ ულებ,  
ბოდიშს ელიან საყვედურებზე.

## შიამაია

ჭია-ჭია მაია, ხვალ როგორი დარია?  
შეყვარებულს უნდა შევხვდე ფიქრმა სულ გადამრია...  
ჭია-ჭია მაია, ვისი შესადარია?  
მისი მსგავსი მე არ ვიცი, მზის სხივების დარია.

შენმა სიტყვამ, რომ იცოდე უფრო რარიგ ამრია,  
იმედია შორს არ იფრენ ჩემო ჭია მაია,  
ახლოს იყავ, ჩემს ქორწილის რომ ყოფილხარ ნათლია,  
შენ, მზის სხივმა, მწვანე მდელომ, იცეკვეთ სამაია.

## სამშობლო

შენ ვაჟკაცების მარად სამჭედლო,  
ღმერთო, მშვიდობით მუდამ იარე!  
“ალგეთს ლეკვები”-ს კარგად აღმზრდელო,  
იმედით კურნავ დაღლილ იარებს.

ცეკვას შეხედეთ რა ალმურია,  
ჰანგებს შერწყმული ერთი სულია,  
ხანჯლებით, როკვაც საამურია!  
ვაჟკაცის მაინც რკინის გულია!

მთებში არაგვი, დაბლობს რიონი,  
თბილისს კი მტკვარი მოედინება,  
ჩვენ მასპინძლობა, რომ ვიცით,  
ვაჟას სხვა რამეც მოეგონება:

“სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენს ნურვინ შაგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,  
მკვდარსაც კი გაეცინება”

## მიმზა

აი უკვე ტყემ ფოთლები,  
ყვითლად რომ შეიმოსა,  
ზოგი როგორც ფანტელები  
ალაგ-ალაგ მიმოსა.

ზუსტად ამ დღეს დაიბადა,  
ჩვენი რძალი მიმოზა,  
კარგი და და კარგი დედა,  
მორცხვი როგორც მიმოზა.

გამრავლდი და გაიხარე,  
გლოცავ როგორც ნინოსა,  
ბიძაშვილი გამიხარე,  
მე კი დავლევ ღვინოსა.

## მე რომ პოცნა დავაპირე

შემოგყვები ყველა კარში,  
ერთ დროს როცა ჩემთვის კეტე  
და დაგიწნავ ნელა ქარში,  
ნერვებს, ჩემში შენ რომ წენე.

სხვას ვერ ნახავ ვერაფერში  
დამნაშვავეს, შენ ხარ.. მტკიცე...  
მართალი ხარ ყველაფერში,  
შენ რომ გზები ჩემთვის კეცე.

მე რომ კოცნა დავაპირე,  
სახე წითლად აილენე,  
მერე თვალი გავაპარე,  
რადგან მზერა აილესე.

## ათინათი

სადაც ეს გრძნობა მეტია,  
სადავარ? ეგ სულერთია,  
გული შინ უფრო მეტია,  
სადაც ვარ, სულიც ერთია!

ჩვენ ორის ფიქრმაც ათია,  
ერთია განა ათია,  
კელაპტარივით ანთია,  
სიყვარულ-ათინათია.

## სინაცელის ცრემლები

თავის ქებითა ამჟღავნებს,  
ჩვენს ყოფას წუთისოფელი,  
თავის ნებითა კვლავ გვავნებს,  
ჩვენში ავსული მყოფელი.

ცოტა რამ უნდა ვიცოდეთ,  
რაც ხინჯად მოგვეკიდება,  
ამ ქვეყნად თუ რამ შევცოდეთ,  
იმ ქვეყნად მოგვეკითხება.

თუ მოერია ვით ლვალო,  
ვერ განკურნავენ წამლები,  
მაგ დროს ჯობია დალვარო,  
სინანულისა ცრემლები.

## **აზრს შემოგანვდი**

ემოციებით მე არ გდალე და შემოგაცვდი,  
ეგრე ყოფილა უსამართლო ვიდრე გასწორდეს,  
ცივი გონებით, ცხელი გულით აზრს შემოგანვდი,  
ახალ-ახალს, რომ არცა ერთი ალარ გაორდეს.

## კარგი ვიქები

შენ ნუ იქნები ცუდი ფიქრებით,  
რადგან ოდესლაც მეც დავფიქრდები,  
ასაკი არის მხოლოდ ციფრები  
და სიკარგესაც სულ დაგპირდები.

ჩემს თავს შევპირდი კარგი... ვიქნები!  
სალი ძალების კვლავ შეფარდებით,  
რადგან ფიქრებში ლექსად დავდნები,  
და ვიფენ სულში ფარდაგს ვარდებით.

(ალაგ-ალაგ, შიგადაშიგ, დროდადრო და ხადეახან).

წინაპრებმა, მამა-პაპამ,  
კაცურ გზებით იარა!  
სამშობლოს და ოჯახისთვის,  
არ იშუშა იარა!

არ გინდოდეს უცხოეთის,  
ენა, ყოფა, ზიარად!  
და ყოველთვის იყავ კაცი,  
ალაგ-ალაგ კი არა!

## პარგზე ფიქრები

ჩემი სიცოცხლით ბედნიერების,  
საპირისპიროდ ტყვიამფრქვევია,  
ჩემთვის მარადი ქვეყნიერების  
გარდაცვალებაც თურმე მჩვევია.

მეც სიცოცხლეში თანდათან მკლავენ,  
წასვლა არცერთის არ ამცდენია,  
ბედნიერების ტოტებსაც სხლავენ,  
გულის ტკივილში რომ ამხდენია.

რადგან სიცოცხლის წყალი მდენია,  
ტკბილ-მწარეც ჩვენი თანამდევია,  
რაღაც სურვილი ხომ ამხდენია,  
კარგზე ფიქრებიც აღარ მდევნიან.

## მაგ თვალთა მზერა

მაგ თვალთა მზერა ისე მწველია,  
როგორც ვულკანის ლავა მკვლელია,  
ნაზი გრძნობების ისე მცველია,  
ვით ლამით ზეცა ვარსკვლავთ მთვლელია.

რადგან ლიმილი ასე ძნელია,  
ლაწვთა კიაფი საკვირველია  
და ეგ ბაგენი ისე სველია,  
როგორც სისხამზე ნამით ველია.

მოქნილი მხარი, წელი, ტანია,  
ოცნება ზეცად ამიტანია,  
მკერდზე ბორცვები ისე გშვენია,  
სხვის მაგივრადაც მე რომ მრცხვენია.

გამოხატვა ხომ გრძნობის მცლელია,  
როგორც ოსტატი ქვაში მთლელია,  
ეგ სილამაზე ისე მწველია,  
ვით აფროდიტა მილოსელია.

## ყვავილი

შავ სამოსში გამომაწყვეს,  
არვინ მკითხა ნებაში,  
მიყიდეს და წამიყვანეს,  
მწუხრში, გასვენებაში.

იქ კი ბევრი ჩემიანი,  
დამხვდა უკვე კიბეზე,  
მეც დროებით შემაბრძანეს,  
დამაწვინეს კუბოზე.

ცხარე ცრემლი იქ რომ ვნახე,  
“კატაფალკას” გამაკრეს,  
ბევრსაც აღარ გაუმართლა  
და გზაშივე დაყარეს,

ბოლოს კიდე ამობურცულ,  
მიწის გორზე დამადეს,  
მერე ყველა წავიდა და  
მიმატოვეს სამარეს.

იქიდან კი წამიყვანეს,  
გლოვაც კი არ მაცადეს,  
შავი კაბა გამხადეს და  
ჭრელი კაბა მაძალეს.

მერე წყალი მაპკურეს და  
კვლავ ლხინისთვის გამყიდეს,  
წამიყვანეს ცხრამთას იქით,  
ამ კიდედან, იმ კიდეს.

დამფი-ზურნით შემიყვანეს,  
პატარძალზე ამკიდეს,  
ცალი ხელით ფატის ქნევით,  
ცეკვა-ცეკვით ამიგდეს.

ხან ვინ მყნოსა მეფერა და  
კომპლიმენტიც მივიღე,  
ლარნაკშიც კი მომათავსეს,  
თითქოს რამედ მიღირდეს.

ამდენ ამბავს მოსწრებული,  
უფრო მალე ვინყინე,  
რადგან ერთ დღეს გადაბმულად,  
ხან ვიტირე-ვიცინე,

მერე ახალ პატარძალმა,  
ახალ ცოცხეში გამცვალა  
და იმ ღამეს თითქმის მჭენარმა,  
სულ ფურცლებად დამთვალა.

დღეში ორჯერ გაყიდული,  
დავრჩი ლონემიხდილი,  
სხვებმა ხელი მოითბეს და  
მე კი დავრჩი უნდილი.

საბოლოოდ გადამაგდეს,  
ნეშომპალად მაქციეს,  
ჩემი ბედიც ეგ ყოფილა,  
ვერვის მოვთხოვ საქციელს.

“წინაპარი” მშვენად ველზე,  
ფლორას გვიძლიერებდა,  
ფუტკარს ნექტარს აძლევდა და  
ჰაერს ასუფთავებდა.

სათბურებში მოგვიყვანეს,  
“ჯიშიც” გადაგვიკეთეს,  
ფუნქციაც კი დაგვიკარგეს,  
მოგვაშორეს სიკეთეს.

გარედან კი დაგვიტოვეს,  
მხოლოდ მშვენიერება,  
ხან სატირალს, ხან კი ქორწილს,  
გვიქმნეს ბედნიერება.

## პედიატრება

დაიბადები და შენ ხარ ბავშვი,  
წამოიზრდები და ახალგაზრდა,  
გონითაც სავსე, აზრია თავში,  
ზრდას დაამთავრებ, აღარ გჭირს აღზრდა.

მოიწიფები, სიცოცხლე დაგაქვს,  
გგონია მარად არ გაჩერდება,  
მოხუცდები და შიში აღარ გაქვს,  
იცი, რომ გული არა ბერდება.

თვით სიცოცხლეა ბედნიერება,  
სანამ გაივლი, წლები უნდები,  
თუმცა წამია ცნობიერება,  
წამის მერე კი შინ დაბრუნდები.

## ქართულობის ულომენი შემთხვევა

ნაცრით ხატავდნენ, აქანდაკებდნენ,  
ბუმბულით წერდნენ ტყავზე სისხლითა,  
ცხენის ძუაზე ჰანგებს აწყობდნენ,  
გულებს ქარგავდნენ ოქროს სირმითა.

წინაპრის როკვა მოვიდა ცეკვად,  
სულის ტირილი წმინდა გალობად,  
მიუვალ გზების ვერ და არ კეცვად,  
მათი ლოცვა კი ჩვენდა წყალობად.

ვერ ძირკვავს მტერი ჩაქვითკირებულ,  
არს უკვდავების წინაპირობა,  
კაი ხანია ვართ მომავალი,  
როდის გველირსოს ჩვენც წინაპრობა.

შოთა რუსთველი და ფიროსმანი,  
კოსმოსში ფრინავს ჩვენი “ჩაკრულო”,  
თავგანწირული ვაჟთ გმირობანი,  
ქართულო სულო, შენ ვერ ჩაკლულო.

30.06.2023.

## **ძმობის სადღეგრძელო**

საგარეჯოს სათავეში სუფრას გავშლით,  
მეგობრებთან ერთად, კაი პურსაც შევჭამთ,  
ერთგულებას ჩემში არაფერზე გავცვლი,  
სადღეგრძელოს ძმობის, დიდი ყანწით შევსვამ.

06.07.2023.

## **სვეტიცხოველი**

მე რა ვუმღერო, ამ სასწაულს ჯერ არ ნამღერი,  
რითი შევამკო, არის თქმული სიტყვა ყოველი,  
დგას მცხეთის გულში, წმინდანების ძალთა ნამქერი,  
და სულში გვიკრავს, დიდებული სვეტიცხოველი.

13.07.2023

## **მომენატრა**

ბუნებრივი სილამაზე მომენატრა,  
ბუნებრივი სიალალე მომეძალა,  
ბუნებრივი სითამამე მომეხათრა.

ხელოვნური სილამაზე მომეხალა,  
ხელოვნური სიალალე მომეახლა,  
ხელოვნური სითამამე მომელახა.

ბუნებრივი სილამაზე, სიალალე, სითამამე,  
ხელოვნური არაფერი აღარ ვარგა,  
ბუნებრივმა სიყვარულმა ბუნებაში  
ლამაზ ქალის სიმორცხვეზე გაიარა.

14.07.2023

## ტელეფისის ციხე

ტელეფისისა ციხესა  
ნანგრევი შემორჩენია,  
სიცივესა და სიცხესა,  
გაუძლო, გვამცნობს-ჩვენია.

ბრძოლები გამოიარა,  
ნათელს ჰყენს ჩვენს ისტორიას,  
რამდენი მან შეიფარა,  
და მოუშუშა იარა.

კედლები, ბევრის მნახველი,  
დამარცხების და მარჯვების,  
ხშირად ანგრევდა სპარსელი,  
კვლავ აშენებდა ქართველი.

ტელეფისისა ციხესა,  
ვერვინ შეუცვლის ხედებსა,  
კვლავ მრავალ საუკუნესა,  
წარსულში ჩაგვახედებსა.

10.07.2023

## **ვაჟა-ფშაველა**

საქართველოის მთა-ველი,  
შენ გააცოცხლე ვაჟაო,  
ფაუნა ტოვე მეტყველი,  
ხემ ენა გაიკაუაო.

ქცევით აცხოვნე “ურჯულო”,  
სტუმარ-მასპინძლის ზღვარიო,  
სულიერი თუ უსულო,  
სიკვდილ-სიცოცხლის მძღვარიო.

სამშობლოისა მთა-ველი,  
შენ უკვდავყავი ფშაველო,  
ქალ-ვაჟი, ყველა ქართველი-  
გულში გყავს სულ საქართველო.

14.07.2023.

## სიჩუბე

სიჩუმე ყოფილა, ყველაზე კარგი,  
სიჩუმე, ყველაფრის მთქმელი,  
ოცნება ყოფილა, ყველაზე ლალი,  
ოცნება, სათქმელად ძნელი.

ლოდინი ყოფილა ყველაზე ნელი,  
შეხვედრაც, არაფრის მქმნელი,  
ადგილი ყოფილა მოულოდნელი,  
გაცნობა ლოდინის მხსნელი.

გულში თუ ჩნდება ადამიანი,  
მის წასვლას სულ არ ველი,  
ადგილი ტოვა მან ნამიანი,  
ეს არის საკვირველი.

1996.

## მომავლისთვის უხილავ ნინების

..და უთქვენოდ უკვე წლები გავიდა  
და ობლდება თითქოს არე-მარე,  
ვუბრუნდები მწუხარებას თავიდან,  
რეალობას თვალს ვუსწორებ მწარედ.

უკვე ძალზედ ბევრნი რომ ხართ მანდეთ,  
სიტყვის თქმა, რომ სიცოცხლეში მანდეთ,  
ახლა უკვე სიზმრებში რომ ჩანდეთ,  
დღის ფიქრები ღამით მე თქვენ განდეთ.

მოგონების, წმინდა სანთლებს ვანთებ!  
მომავალსაც ვაცმევ ხსოვნის სანდლებს,  
რადგან თქვენგან განვლილ გზებზე განგებ,  
ევლოთ ქართველთ, დინჯად, არა ანგლებს.

## მიზანი

თმენა ვერ აგვიტანია,  
სან მოვთქვამთ, სანაც ვმღერით,  
თმობა ვერ გაგვიტანია,  
ვუყურებთ კისრის ლერით,

ხშირად შევხვდებით შეპყობილთ,  
ვაი ბედისა წერით  
და დაიწყება მიზეზით,  
ერთი სიგარის ლერით.

## **საქმეთან შეხვერდის გაჩინოს**

ნუ იზამ ცუდად საჩინოს,  
არასაჭიროს, საჯინოს,  
ალალმა შრომამ გარჩინოს,  
კარგ საქმემ გამოგაჩინოს.

## **მიზანებისა**

უნებლიერ რომ მგონია, შენ კი განზრახ,  
ის მომენტი მაპატიე მე ცოდვიანს,  
მე რომ ვერ ვგრძნობ შენ კი გწყინს და ფიქრობ ხან რას,  
მომიტევეთ ყველაფერი მე ბოდვიანს.

მე კი ვიტყვი, მაგრამ მინდა წრფელი იყოს,  
ეპატიოს! ვინც მე სიმწრით მარბენინა,  
ღმერთს შევთხოვ, რომ მომცეს ძალა ვაპატიო,  
თუ კი ვინმემ ოდეს რამე მაწყენინა.

## საქართველო

უფალს მოუფერებია,  
მზერა შეუჩერებია,  
ეს სამყაროს ფერებია,  
მთა-ბარი და სერებია.

მარიამსა ჰყვარებია,  
ეფემს შეუდარებია,  
კალთა დაუფარებია,  
ლვთისთვის შეუვეძრებია,

ქართველთ მოსაფერებია,  
საქართველოს საზღვრებია,  
ეს ხომ ჩვენი ფერებია,  
ზღვა, ველები და ზვრებია.

ეს სამოთხის ფერებია,  
მთა-ბარი და სერებია,  
უფალს მოუფერებია,  
ქართველთ ჩაუბარებია.

## საქართველოს გმირს პახა ხიდებელს (დრუნჩა)

მე იმ ზაფხულს გაგიცანი ხიდეშლებს,  
ჯერ არ ჰქონდა, მოწმენდილ ცას ღრუბლები,  
წინაპრები გმირობებით შლიდნენ წლებს,  
მომავალს, რომ არ ეზარდათ ობლები.

ჩემზე უფროსს აზრსაც გეკითხებოდი,  
ვაუკაცობის მაგალითებს ჰყვებოდი,  
საქართველოს ისტორიით თბებოდი,  
ლვინოს ვსვამდით, მაგრამ შენ არ თვრებოდი.

რაჭის მთები, შოდაც ერთად დავლაშერეთ,  
გადმოვხედეთ სამაჩაბლოს, აფხაზეთს,  
მწყურვალ თვალით ცნობიერი დავაშრეთ,  
საქართველოს ვიგულებდით ჩვენ ასეთს.

ბევრი ლამე გვიტეხია სუფრასთან,  
საქართველოს სადლეგრძელო გვისვია,  
გამთენიას წმინდა სალოცავებთან,  
ჩვენს გმირებზე სანთლები დაგვინთია.

საქართველოს რომ მოადგა ღრუბელი,  
პირველივე წინა ხაზზე გახვედი,  
შენ იბრძოდი როგორც “ხარი უბელი”  
გმირი იყავ და გმირადაც წახვედი.

## **დიდი მარსანი**

რუსთველი დიდი მგოსანი,  
ვეფხის ტყავს მიჯნურს აცმევდა,  
“ალგეთს ლეკვები მგლისანი”,  
მტერს გმირულ უკუაქცევდა.

## **ც.ელვადელათავარი აპროსი აღმსარებელი**

“ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის,  
ჩემი გული სამშობლოს,  
ჩემი გვამი დამითმია,  
თქვენთვის, ქვეყნის მტარვალნო”

ვერ გატეხეს პატრიარქი,  
ბნელი ციხის კედლებში,  
თავის ნებით გადადგომა,  
რომ უბრძანეს “წითლებში”.

წერა-კითხვის გავრცელების,  
ქართულ საქმის ამგები,  
კვლევა წერა მან ძეგლების,  
ფსევდონიმით “ამბერი”.

მისი გაუტეხელობა,  
იმ დროსი და ამ დროში,  
წმინდანად და გმირად რაცხეს,  
ხელაია ამბროსი.

## ქალებს თავდაცვის ქალთა

რვა მარტიც დღეაო ქალთა,  
გფარავდეთ ღვთისმშობლის კალთა,  
ქალებს თავდაცვის ძალთა,  
ერტყათ მშვიდობის ბალთა.

ყოველი დღე არის ქალთა,  
ხვავით გევსოდეთ ხალთა,  
ყვავილებს ამ ყველა ჭალთა,  
მოგიძლვნით მთებით-სალთა.

## არავინ

არავინ არ ვარ, სამყაროს მტვერი,  
ჩემში გაუვალს ვაყენო ძვრები,  
ვინც მე გამიგო, არა ვარ ტევრი,  
ვცდილობ ვუმრავლო, სიყვარულს ზვრები.

თქვენ არ გეგონოთ თუ ვინმე ვიყო,  
ანდა რაიმე, ჯამი-წყაროსთან,  
მინდა, რომ სხვისგან იგივე ვიღო,  
მტვერი, რომ ელის ამ სამყაროსგან.

## **ქანდაკება (მინევრა)**

როცა დედა მიმიყვანდა დილით ბაღში,  
იქ ყოველთვის, დამხვდებოდა ქანდაკება,  
მზე იყო თუ წვიმა იყო, ან ავდარში,  
არ უნდოდა ჩვენგან სიტყვა, ანდა ქება.

ეზოში, რომ ჩავდიოდით ვთამაშობდით,  
ის ხუჭუჭა მქომაგობდა, მინერვებდა,  
სამსახურში წასულ დედას მე ბავშვობით,  
საღამომდე მონატრებას მიქარვებდა.

წლების მერე ქანდაკება ისევ იქ დგას,  
ალბათ ბევრსაც უფიქრია ჩემნაირად,  
მიამსგავსებს ვიღაც მაინც თავის დედას..  
და ჩაიკრავს სხვა შვილებსაც ერთნაირად.

## დალალეპს ფენდი

ოდეს დალალებს აივანს ფენდი..  
იყავ ლალი და იყავ ქათქათა,  
არც დადიოდი შენ უფრო ფრენდი,  
თვალი წაგავლე, გრძნობამ დამდაგა.

მაშინ მეც ვიყავ ჭაბუკი, დენდი,  
ჩემში ოცნებამ გაინავარდა,  
მეც შენთან ერთად სიზმარში ვფრენდი  
წლები კი გაქრა, სადლაც გავარდა.

შენ ისევ ისე..სარეცხს, რომ ფენდი,  
თავშალნაკრული გიცან ქალადა,  
მეც გრძნობით დავრჩი, განა დავბერდი,  
კვლავ სიყვარულით მე ვარ ავადა.

## (სოფ)იასამანი

ჩემს ეზოში აყვავებულ  
იასამანს დაგიკრევ,  
გულში დარდებს და სევდასაც  
ერთიანად გაგიკრებ,

კოცნებით, რომ ამოგიშრობ  
უპეებზე სველ შრეებს,  
მზის სხივებსაც ჩავუყენებ  
ემაგ თვალთა შავ გიშრებს.

ყველა ბალის აყვავებულ  
იასამნებს დაგიკრევ,  
სავალ გზაზე პასხალიის  
სულ ფარდაგებს დაგიგებ,

სურნელებით სხვისკენ სავალ  
ბილიკებსაც აგირევ,  
სიყვარულით ჩემთან მოსულს,  
ყველაფერში გაგიგებ.

## დასაქონი სათამაშო

იქოქება სათამაშო,  
მერე იქვე ბზრიალებს,  
იგი ხმებსაც გამოსცემს და  
იგივეს ატრიალებს,  
რკინის კია, ამდენ ქოქვას  
ის სადამდე გაუძლებს?!  
თუ არ ქოქე დაუანგდება,  
ხმასაც აღარ გაიღებს.

## **ბელურას ცრემლები**

ჩვენში ყოველთვის ადრე გაზაფხულს,  
კვლავ მოიყვანენ შავი მერცხლები,  
ერთგულ ბელურას, ყინვით დაზაფრულს,  
ხშირად, ზაფხულშიც მოსდის ცრემლები.

## **დროც გაითაღა**

დაბადებიდან ვუცქერ ამ თვალით,  
ვხედავ ნივთები რომ შეიცვალა,  
არსი იგივე, სხვა ვიზუალით,  
ჩემთან ერთად ხომ დროც გაითაღა.

## აღვირი

ცხოვრებას ახლავს თავის აღვირი,  
შენ არ მოირგე? ნუდარ გაჰყვირი!  
მე მომბაძეო იტყვის “გზახსნილი”  
კაცი ან ქალი “აღვირახსნილი”.

## **პერი**

ჯვარზე ავედი, წინამურის თავს,  
ჯავრზე ვიმარჯვე და სხივი მაქვს თვალს,  
ჯანზე მოყვანილს, მადლი წინ მირთავს,  
ჯარზე ზრუნვას და აწმყო-მომავალს.

## **მადლობა უფალს**

დილა გათენდა, მადლობა უფალს,  
რომ დავინახე ცისკრის ნათება,  
კვლავ გადავლახავ ყველა გზა უვალს,  
მშვიდობა გვქონდეს და შემართება.

## ლიას ლიანებს

სხივებს დავუწნი მზიანებს,  
ვარსკვლავს მოვუწყვეტ ციანებს,  
მწვერვალს გადვუდგავ მთიანებს,  
ლიას დავუკრეფ ლიანებს.

ყაყაჩოს შავხალიანებს,  
იებსაც ლურჯთვალიანებს,  
ვარდებსა გულთამთლიანებს,  
მძივებსაც თვალლალიანებს.

ფრაზებს მივუძღვნი ფრთიანებს,  
დედა რომ გვაერთიანებს,  
სიკეთე მაგულიანებს,  
მივართმევ ლიას ლიანებს.

## **განაცა**

ხასიათით ტკბილი როგორც მანანა,  
შედარებით წლებით ჩემზე მანანა,  
გამჭვირვალე როგორც უინულლი მანანა  
და სიმღერა ჩარირამა-მანანა.

მომცინარი, ლოყანითელ-მანანა,  
ნაზი როგორც აბრეშუმი-მანანა,  
შემიყვარდა ერთი გოგო მანანა,  
წლებმა მისი განშორება მანანა

## **მუხრანი**

ტყე მინახია უღრანი,  
გამირჩევია მუხნარი,  
ლექსში მიცვნია მუხრანი,  
აზრებით გაუხუნარი.

## ტიციანს

ამ მილოცვას ცად გიგზავნი ტიციან,  
ეს დღე ყველამ, ბავშვებმაც კი იციან,  
ლექსით იპყარ შენ მიწიან და ციან,  
სად ნიავნი ხშირად ქარად რომ ჰქონიან.

უტეს სიტყვას შეუდგინეს “მათ” სია,  
ვისთან მკვდარსაც არ დასწამე ცილია,  
შეუერთდი, სადაც ციმბირს მიდიან,  
შუა გზიდან.. იქაც აღარ გიცდიან.

ნეტავ სად ხარ რომელ ტრამალს ტიციან,  
შენი ძვლები ყვავილებმა იციან?  
პოეზიას კი მიწიან და ციან,  
მიმობნეულს, იტყვიან და იტყვიან.

## ՅԱՐԺՈՒ

Սադա Եար տամար? այս զար մոա  
პաტարա տամարս ცյերոտ ցարտուլսա,  
տვալտաեցած նպարութիւն ուշարձագը մոա,  
Շեմորհիցնոլու նպարութիւն վարտուլսա,  
Սադա Եար տամար? այս զար մոա!  
Կլուզեթի նայութու սաբեռութեալու  
ճա Շմեթէսու ցկլուսուաա,  
Ցիրուսցան սաբազուս մատարենցուլու,  
Ամապագ մուսիանս այս զարմոա.

## **ბალდათის მცენრი**

ბალდათს კი არა მთელ საქართველოს დააწვა მწუხრი და ეს მუხთალი, თითქოს მშიერი იტაცებს ბავშვებს, მეტი რაღა ვთქვა, გაოგნებული მუხლსაც კვლავ ვუხრი, ნეტა როდემდე ჩვენო ბუნებავ ჩაგვაცვამ შავებს.

უფალო ღმერთო, დედა ღვთისაო, იესო ქრისტე,  
შენ დაგვიფარე ყველა ჩვენგანი განსაცდელისგან,  
გვაკმარე მწუხრი მოულოდნელი რომელიც ქრის, დე  
ყველგან ისადგუროს სიხარულმა, რასაც ელიან.

## მამუკას

შენთვის ხანმოკლე ყოფილა,  
სიცოცხლე, წუთისოფელი,  
დამწუხრებული დატოვე,  
ქალაქიცა და სოფელი.

დედა, დაიკო, ცოლ-შვილი,  
დიდხანს რომ გყავდეს ამქვეყნად,  
მამას მიუხველ იქ შვილი,  
ნათელი გქონდეს იმქვეყნად.

სალოცავთ მთა და ბარისა,  
მარად რომ გენთოთ სანთელი,  
წიკლაურთ დიდი გვარისა,  
ვანოს, მამუკას ნათელი.

## ՃԹԱՏ

ՆԵԳԻ ՈԹ ՁՐՈՍ ԲԵՄՈ ԺՄԱՅ,  
ԾՐԾԵԼԵՅՈՒ ՑՎԿԱՑՋԵՆ ՄԱՄԵՅՈ,  
ՑՎԱՋԳԱ ՇՈՂՐՇՈՋՈ ՑԵՎԱՅ,  
ՑՎԵՄՈՆԴԱ ԲՎԵՆ ԼԱԼՈ ՆԱՄԵՅՈ.

ԱՐՎ ՈԹՈ, ՑԱՔԻՌՎԵՅԱ ԸԱ  
ԱՐՎԱ ՏԵՎԱ ՑՍՈԴՈ ԱՄԵՅՅՈ,  
ԱՐՎ ԵԼԵՅՈՍ ՏՈՎԱՌՄԱԳՅ ԸԱ  
ԱՐՎԱ ԵՆԵՎՈՍԱ ԱԵՅՅՈ.

ԿՎԵԼԱ ԳՅԻ ՑԱՄՈՎՈԱՐԵՏ,  
ՈԹՈ ԸԱ ՀԸԼԵԲՈ ՇԱՎԾԵԼՈ,  
ԺԸՄԾԼԵՅՅՄԱ ՑՐՄՆՎՈՒԹ ՑՎՈԱՐԵՏ,  
ԱՐ ԱԳՎՈԼՈՒ ՏԱՎՍ ԵԵԼՈ.

ԾԱԲԱՋԵՅՈՍ ԾԼԵՍ ՑՈԼՈՎԱՅՎ,  
ՈՊԱՎ ԿՄՎԵԼՈՎՈՍ ՑԱՄԳԵՅՅՈ,  
ԵԼՈՎՈՍ ԿՎԵԼԱ ՏԱԼՈՎԱՎՍ,  
ԸՄԵՐԹՄԱ ՑՎՈՎԵԼՈՎՆՈՍ ՄԱՄԵՅՅՈ.

ԲՎԵՆՈ ՈՋԱՅՈՍ ԿՎԵԼԱ ԵՎՐԸ,  
ԲՎԵՆ ՄՈՎՍՎԱՐՈՒ ՏԱՎԵՅՅՈ,  
ՏԱՋԼԵԳՐԺԵԼՈՎՍԱՎ ՑՈՒՊՎՈՒ ԵՎՐԸ,  
ՄՈՄԱՎԱԼՍ ՏՄԱԼ ՎԵՎՎԱՐԵՅՅՈՒ.

ՑՈՒՅԱՐՈՒ ԾԵՋԵՅ-ԾՈՒԱՆԱՋ,  
ՄԵՄԱԼԼԵՅՅՈՒ ՑՎՈԼԵՅՅՈՒ,  
ՑՎԵՎԵԼՈՎՐՈՍ ԲՎԵՆ ՄԱՖԼՈՒԱՆԱՋ,  
ԱՐՈՎԵՍ ԱՐ ՆԱՎՈՄԼԵՅՅՈՒ.

18.02.24.

## მაისი

რომელი ხარ? დიაცთ კდემა,  
აკრილის თუ ვარდისა ხარ?  
გაზაფხულის დიადემა,  
ზეცად ვარდის ბარდნისა ხარ.

აპრილ მერე, წვიმისა ხარ,  
თამარ-შობის, წვდომისა ხარ,  
ქალის სახელ ვარდისახარ.

მისი სურნელ, ქარგვისა ხარ,  
გამჭვირვალე ქარვისა ხარ,  
ნოსტალგიის ქარვისა ხარ,  
მაგრამ მაინც არვისა ხარ.

ყველს ძალზედ, რომ უყვარხარ,  
თანაც სულ, რომ გულში ჰყავხარ,  
ისე?! მაინც ვარდისა ხარ..  
მაისი ხარ! არვის ჰყავხარ.

## არ დაუშალო

არ დაუშალო ყალყზე დადგომა ცხენსა საღარას,  
არ დააკავო თუ მოისურვა ოცნებით ფრენა,  
ნუ დაუვიწყებ ნურც აწმყოს და წარსულს ჭაღარას,  
რადგან მომავალს მშვიდობა უქმნა და არა წყენა.

არ მოუშალო თუ შენად შეგწევს იმისი ძალა,  
რომ ნება დართო, უყვარდე ისე როგორც მას ძალუძს,  
არ შეაჩინო სენტიმენტები თუ მოეძალა,  
წრფელი ქცევა სჯობს იმ სინანულად შენში გადმოსულს.

არ დააძალო ეს ყველაფერი შენს თავს, უარჲყავ,  
თუ ცნობიერი ქვეცნობიერსა არაფრით არ ჰგავს  
და იმ სიყვარულს მიეც საქანი ვინც გულით გქარგავს,  
თავისა თავში გაღმერთებს და იმედს არ ჰკარგავს.

## ქართველ მცენარებს

შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი,  
დავით, ნიკოლოზ, იაკობი,  
სულხან-საბა და გალაკტიონი,  
ალექსანდრე და სოლომონი.  
ბესიკი, ვალერიანი,  
ნიკოლო, შიო მლვიმელი,  
ეგნატე, ივანე, მარიჯანი,  
დიმიტრი, ეთიმი, რაფიელი.  
ეკატერინე, იროდიონი,  
კონსტანტინე და სიმონი,  
პაოლო, მიხეილ, ტიციანი,  
ელენე, ტერენტი და გაბაონი.  
კოლაუ, ჭაბუა, მირზა, ნოდარი,  
გოგლა, მურმანი, გრიგოლ, მუხრანი,  
ანა, ირაკლი, თამაზ, ოთარი,  
ვახტანგ, ტარიელ, ვასილ, ლევანი.  
ჯანსული, დანიელ, ლადო, გურამი,  
იოსებ, მორის, ვახუშტი, რევაზი,  
მიხა, ოტია, პეტრე, ზურაბი,  
ფრიდონ, ნიკო, ჯემალ, გოდერძი.  
აკა, დათო და (ზვიალ-მერაბი)!..  
გაგა, ნიკო, პაკო, არჩილი  
და კიდევ ბევრი თანამედროვე....  
ქართულ-ხალხური! არა მედროვე....  
ლამაზად მთემელნი! ფერხულს ჩართულნი,  
არ მოგეშალოთ ვაზი ქართული!  
და მო მკითხველნი!!! არა გართული!  
არა სიტყვათგან დიდად ხლართული,  
არა უცხოსგან მცირედ მართული!  
თავისუფალი, თავის-უფალი,  
შემსმენელისთვის არ არის რთული,  
ამ ნიჭასაც გვაძლევს ღმერთი- უფალი.

## სარეპა

შენ იქნებიო მშობელი ღვთისა,  
ანგელოზ იყო მახარობელი,  
მოვა იქსო მხსნელი ცოდვისა,  
სიყვარულითა გულთა მპყრობელი.

იყოს ღვთის წება! ქალწულ მარიამს,  
უმაღ აევსო მორწმუნე გული,  
სიხარულით, რომ შესვდა განგებას,  
ღმერთისგან იყო გამორჩეული.

## დედა

ამ ქვეყანას მოვსულიყავ  
გადაწყვიტა ზეცად ღმერთმა,  
იმ დღეს უსუსური ვიყავ,  
დამახვედრა ზენამ დედა,  
გამომკვება და გამათბო,  
აღუც მათქმევინა მე და  
გამომზარდა, ნუ სტირიო,  
ხშირად დამაიმედებდა.  
იავნანას მიმღეროდა,  
სიარული შემასწავლა,  
თან ზღაპრებსაც მიყვებოდა,  
თბილ წინდებსაც დამიქსოვდა,  
სკოლაშიაც მიმაბარა  
ანი ბანი რომ მესწავლა,  
მისი დამსახურებაა რაც რამ  
სითბო დამიგროვდა.  
ბედნიერი არის ის ვინც  
დედის ზრუნვა დაებედა,  
რადგან მისი სიძლიერით,  
ვარსკვლავებთან ცურვა ბედა,  
წლები გადის თან შუახანს  
მივატანე უკვე მე და  
ზენამ მუდამ დამახვედროს,  
სახლში, ღმერთით თბილი დედა.

## **ლოცვა შენიდგული**

ბავშვობაში რომ იტყოდა “ვაი მე”  
აძახებდნენ “ვაი? არა ღვთის ცეცხლი”,  
ურწმუნოებს ხშირად უმაღლავდნენ თურმე...  
(ეგონა, რომ უნდა დასცემოდა მეხი).

“ვაი”-ს ამით ცხოვრებაში არიდებდნენ,  
ღვთის ცეცხლით კი ლოცავდნენ და არიგებდნენ,  
რჩმენის მადლსაც ზეპირ სიტყვად ატარებდნენ,  
ბებიები ხშირად ცომზეც ჯვარს სახავდნენ.

## ԵՎՀՐԵՎԱԿՈ

ՐՈՅԹ ԱՐ ԳԱՅՐԵՆԻԼՈՒՅՑՆԵՆ  
ՆԵՐՈՂԵԾՈ ՇՄՈՐՏ,  
ԱՆ ՎՈՆ ԳԱՎՐՈՎԵԼՂԵԾՈ  
ՄԱՐՏԱԼՍԱ ԾԱ ՔՄՈՐՏ,

ԱՆ ԹՍ ՄԱՐՏԼԱ ՈՒՂՈՎՆԻԾՆԵՆ  
塔ՎՈՍ ՔՄՈԼՍ ԾԱ ՏԵՇՈՐՏ,  
ՈՒՆԵԾ ԻՍԵՎ ՔԵՎԱՐԵԾՈԾՈԾԱՏ  
ԵՐԹԹԱՆԵՏՈ ՈՐՏ,

ՐՈՅԹ ԱՐ ԳԱՅՐԵՆԻԼՈՒՅՑՆԵՆ  
ՏԿԱՅՈԱՆԾԾՐԵԾՈՒ ՇՄՈՐՏ,  
ՑԵՎԱ ԻՍԵՎ ԾԱՐԻԵԾՈԾՈԾԱ  
ԱՐՆԻՎՍԱ ԾԱ ՔՄՈՐՏ,

ԱԼԱՐԾ ՇՈՂՔՈՍԵՍՈԵԾՈՒԹ  
ՄՈՂՑՈՒԹԱՆԾԾՆԵՆ ԾՐՈՆՏ,  
ՄԵՎԱՐԵ ԻՍԵՎ ՄԵՂՐԿՈՎՆԵԼՈ  
ԱԾՎԾԵԾՈԾԱ ԾՐՈՐՏ,

ՐՈՅԹ ԱՐ “ԳԱՅՐԵՆԻԼՈՒՅՑՆԵՆ”  
ՆՈՆԱՎՐԵԾՈ ՇՄՈՐՏ,  
ԵՐԾԱ ԲՎԵՆ ՏԱԾ ՎՈՒՆԵԾՈԾՈՒԹ,  
ՐՈՅԵԼ ՄՏԱՏ ԾԱ ԳՈՐՏ.

## პაპას ცხვრები

“ერჩი, ერჩი”-ო, რომ ეტყოდა პაპაჩემი  
ჭიშკართან მოსულ ცხვრებს,  
დუმის თანთალით სათითაოდ  
გაერჩეოდნენ ჩვენები სხვებს,  
თუმცა ვიცოდი იყვნენ პირუტყვნი,  
მაგრამ მიკვირდა, არჩევდნენ ტემბრს,  
თუ იბნეოდნენ, სხვის ჭიშკართან,  
ერთად ელოდნენ პატრონის ხმებს.

## **სიტყვა**

თუ შენი სიტყვა მისთვის წამალია,  
მაშ შენც უთხარი, რადგან ალალია,  
კარგი ყოველთვის თავმდაბალია,  
რადგან სულ, სულ, სულ, სულ, სულმალალია.

## ნარიყალაზე

სისხლი უღვრია აქ ჩემს წინაპარს  
სანამ ძველ სახელს გადაარქმევდნენ,  
ბევრის მნახველი ნარიყალა არს  
იგი მეც მეტყვის ბოცოსძეთ სათქმელს,  
ხან დაცემულს და კვლავ მედგრად მყოფელს,  
თბილისს რომ უცქერს იმედის თვალით,  
აჰა მოვედი მეციხოვნენო,  
ჩემი წინაპრის სისხლისა ვალით.

## ლოცვა

წინ ვიყურებით იმედით,  
უკან კი მადლიერებით,  
მაღლა ლოცვით ცას ავყურებთ,  
დაბლა სინანულს დავცექერით.

თავს კი ჩავხედავთ სიფრთხილით,  
გარშემო ვაფრქვევთ სიყვარულს,  
ეს ყველაფერი სიფხიზლით,  
მოგვგვრის ჩვენ ნამდვილ სიხარულს.

## **შინეოუსვლელი**

თვრამეტის იყო, გაიწვიეს პირდაპირ ქერჩში,  
ღინდლი არ ჰქონდა მოცელილი პირი სახიდან,  
იბრძოდა, სკვდილს თუ გადაურჩა ათასში ერთი,  
ჩამოიყვანეს, წვერ-ულვაშით გადის სახლიდან.

თუკი იცნობდა აღნაგობით, ცოტას კოჭლობდა...  
მიიჩქაროდა, სიხარულსაც აღარ მალავდა,  
სატრფოს კი გული დამძიმებოდა, არ თრჭოფობდა,  
რადგან ორი ძმის, შინმოუსვლელის ტკივილი ჰქონდა....

## **შენიშვნის კათილი უნდა ადენთო**

შენში კეთილი უნდა ადენთო  
და სიყვარულით უნდა აღენთო,  
სულ ის სანთლები უნდა აღვენთო,  
გონიში სიმართლით ღმერთი, აღმერთო.

## **ქართველთა მიწა**

წმინდა გიორგი ედგა მეფეებს,  
აშენე დავით! განავრცე თამარ!  
ღვთისმშობელი კი ღმერთსა ავედრებს,  
ქართველთა მიწას, მის გმირთა სამარხს.

## **გენადი**

განთიადი, გაენათი, არის წმინდა გელათი,  
პოეზიის მზიარები ბავშვობიდან გენადი,  
დაბადების დღეს გილოცავ დაესწარი ყველათი,  
დებით, დედით, დიშვილებით, ძმის ოჯახით, გელა-თი.

## დავითს

ქრისტეშობას და დაბადებას  
ერთად გილოცავ დავით,  
ქრისტეს გზით გევლოს სიკეთით!  
ვერას მოიგებ სხვა დავით,  
ვერც ჩხუბით, ინტრიგანობით  
ვერას მიაღწევ ცუდ-ავით,  
განათლდი სწავლით და იშრომე,  
იფიქრე მხოლოდ თავით.  
იუმორითაც შეხედე,  
მსგავსობდე ნათლიას, დავითს,  
გისურვებ საუკეთესოს,  
ისე მოიქეცი და ვით  
შეჰვერის შენს გვარ-ქართველობას,  
არ შეგვარცხვინო დავით!  
ეცადე იყო მართალი,  
შენში კარგს უთხარ დავი.

## არასოდეს შეიტანო ეჭვი

რადგან მუზას ვერ უბრძანებ რითმას,  
ეს არ ნიშნავს ცივი გახდა გული,  
სიტყვა როცა ამიწენავს მე თმას,  
ნაიშლება მაშინ სიყვარული.

არასოდეს შეიტანო ეჭვი,  
ერთგულება ჩემში დიდად ფასობს,  
თუ მორევში მაინც გადაეშვი,  
ჩათვალე რომ “ეშმა” ლახვარს გვასობს.

თუ ვიღაცა შენ გიყვება სხვაზე ავს,  
ალბათ სხვაგან შენც გახსენებს ავად,  
სანამ ცუდად სხვა მოგიტანს ამბავს,  
სჯობს სიმართლე გაარკვიო თავად.

სიტყვებს მუდამ რომ დაედოს რითმა,  
გაგვინათოს და გაათბოს გული,  
დაე მწყობრში ჩააყენოს რიტმმა,  
აამღეროს კვლავაც სიყვარული.

## ამპარტავანი

ვერ ამჩნევს ზოგი ამას მავანი,  
ჰგონია მასთან სხვას აქვს თავანი,  
ქვეყნიერების ტკბილი მძევალი,  
შენ კიდე მუდამ მისი მხევალი.

მაინც ვერ ამჩნევს ამას მავანი,  
თუ გინდ გაეგე როგორც ქევანი,  
ყველა მისია ავან-ჩავანი,  
ზოგი მავანი, ამპარტავანი.

## მამის მხრები

ტკბილი იყო მამის მხრებზე ჩაძინება,  
ასე იყო თურმე ხშირად ჩემი ნება,  
შაბათ-კვირას მამაც ასე დადიოდა  
და მის მხრებს კი ნამი ხშირად დასდიოდა.

გალვიძებულს “აჩიკუდა” მინდებოდა,  
სქელ კისერზე ვეხვეოდი, “მუხას მუმლი”,  
ასე დიდხანს დავდიოდით, ბინდდებოდა,  
არ მინდოდა აკვანს, არტახ გადაქრული.

ბაბუს მხრებზე უნდებოდათ მშვიდად ძილი,  
ის კი მათთვის მუდამ იყო თბილზე თბილი,  
მოგონება ყველასა აქვს თავის წილი,  
რადგან მამის მხრები იყო ტკბილად თლილი.

## დროი

კოსმოსური დრონი ფრინავს,  
დედამიწა იღებს სელფს,  
უსასრულოდ დრო მიფრინავს  
და მზეს ყველა უვლის წრეს.

მთვარე მუდამ იმალება,  
აკეთებსო უკან სვლებს,  
მზის სისტემას, “ირმის ნახტომს”,  
ეს სამყარო აცოცხლებს.

## ის ლამაზი ქალი

ისე ჩამიარე, რომ ვერ გავინძერი,  
თანაც ვერ გიცანი, რაღაც კი ვიგრძენი,

მზისგან დასაცავი მეკეთა სათვალე,  
გულიც გაგატანე, წლებიც გადავთვალე,

თვალიც გავაყოლე ანარეკლს მინაზე,  
მაინც ვერ გიცანი, თითქოს ჩემს ჯინაზე,

ნუთუ მე გამექცა ეს ოხერი თვალი,  
გულმაც არ გაუშვა ის ლამაზი ქალი.

წარსულს დავაპრალე, თითქოს ჰქონდეს ვალი,  
ის ლამაზი ქალი, ეს ოხერი თვალი.

## მამის ანდერძი

ასე გიყვარვარ ჩემო ცოლშვილო,  
ვეცდები დიდხანს ვიყო თქვენს გვერდით  
და როცა წავალ “სულო ცოდვილო”,  
განმენდილ მოვალ მე თქვენში ღმერთით.

გამხნევებთ, გეტყვით ლირსად მიგლოვეთ,  
არ გატყდეთ, თქვენი ბედის კარამდის,  
მხოლოდ ერთი რამ, ხშირად ილოცეთ,  
რადგან მეც ვიყო თქვენთან მარადის.

## ვაჟპაცეპის სამზღვო

შენ ვაჟკაცების მარად სამჭედლო,  
ღმერთო, მშვიდობით მუდამ იარე!  
“ალგეთს ლეკვები”-ს კარგად აღმზრდელო,  
იმედით კურნავ დაღლილ იარებს.

ცეკვას შეხედეთ რა ალმურია,  
ჰანგებს შერწყმული ერთი სულია,  
ხანჯლებით, როკვაც სამურია!  
ვაჟკაცის მაინც რკინის გულია!

მთებში არაგვი, დაბლობს რიონი,  
თბილისს კი მტკვარი მოედინება,  
ჩვენ მასპინძლობა, რომ ვიცით,  
ვაჟას სხვა რამეც მოეგონება:

(“სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც წურვინ შაგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,  
მკვდარსაც კი გაეცინება”)

## მე ვაფიქსირებ მაჯისცემას

მე ვაფიქსირებ მაჯისცემას დროის წამებით  
და თვალთა ხამხამს კვლავ დაითვლის ეს წამწამები,  
ეჰ მოგონებავ ცუდოვ და კარგო რახან წამებით,  
მე მოგაგროვე ხან ხალისით ხანაც წამებით.

თვალგახელილი შევეცადე, გამოცანებით..  
ამაოება კვლავ დავტოვე დახამხამებად,  
რადგან ციმციმით იპყრეს ვარსკვლავთ, იქ ზეცა ნებით  
და პლანეტები მოიყვანეს მათ ტამტამებად.

## “შეუცნობელია გზა უფლისანი”

“შეუცნობელია გზა უფლისანი”,  
ნინ გვიძღვის, უნდა ნახვა,  
ცოდვილთ იესომ წამებისანი,  
ნათლად რომ დაგვანახა.

გვამცნო ალდგომით, შეუცნობელი,  
გულები გაგვიხარა,  
გამოგვისყიდა, ღმერთთან ცოდვები,  
თავები დაგვიხარა.

შეუცნობელი გზა უფლისანი,  
ნათელით მოგვიფინა,  
გულები სიყვარულისანი,  
აგვივსო უფლისა შინა.

ბევრისგან ეს გზა შეუცნობელი,  
იესოს სიყვარულია  
და მხოლოდ ამის ჩვენთვის მცნობელი,  
უფლის გზით სიარულია.

\* \* \*

“ჩემი ცხოვრება ჯვარცმაა, რასაც ვენამები,  
ყველა მედუქნის, კინტოსა და სხვა ნაძირალის  
თვითნებობისგან სასტიკად ხშირად ვიტანჯები,  
მე ვიცნობ ისტორიას, კარგად ჩემი ქვეყნის,  
ვიცნობ , ილიას, ვაჟას და ვიცი რუსთაველი,  
მე მათ ჩემებურად ვხატავ სხვებმა თუნდ იცინონ,  
მაგრამ მივდივარ ჩემი გზით, მიმაქვს მთა-ველი”

## ნიკოლოზ ფიროსებანაშვილი

პარიზიდან კი თბილისში,  
ჩამოსულიყო დე სევრი,  
ცეკვით და სიძლერით გული,  
დაიპყრო ძალიან ბევრი.

სახელად მარგარიტაა,  
ლამაზი და მშვენიერი,  
შეხედეთ რა აქტრისაა,  
ჩურჩულებდა მიწიერი.

აგერ გამოჩნდა ნიკალა,  
ახალგაზრდაა მხატვარი,  
ყველაზე გამორჩეულად,  
აქტრისას გულის მდევარი.

მარგარიტასაც მოსწონდა,  
მდიდარი, ფულის მხარჯველი,  
ყოველ საღამოს კი ჰქონდათ,  
შეხვედრა გულის მტანჯველი.

ქალი ფეხს ითრევს რატომლაც,  
ნიკალას ბოლო კითხვაზე,  
და გადაწყვიტა რომ სადლაც,  
არ ყოფილიყვნენ საზღვარზე.

ან ტფილისს დარჩენილიყო,  
ან რისთვის იყო უარზე,  
აეხსნა ქართველ კაცისთვის,  
(ვერ ივლის ქალის ჭკუაზე).

სიყვარული კი ბრმა არის,  
რას აღარ ჩაგადენებს,  
ყველა სიკეთის ზიარის,  
წამსაც არ ჩაგაგდებინებს.

ვარდები აწყო ურმებზე,  
ცხრა წყვილიან ლაპა ხარით,  
ვარდი ასოცი ათასი,  
ნარჩევი, ხავერდ სადარი.

ეტყობა რამდენიმე დღეს,  
აღფრთვანება მარგარეტს,  
რადგან ნიკალა ერთ დღეში,  
გაკოტრდა, კარგავს ინტერესს.

გრძნობებს მწარედაც მოარულს,  
ნიკალა გულში იკლავდა,  
ლამაზი ქალის სიყვარულს,  
მწუხრს კი სასმელში მალავდა.

ერთ დღეს მიადგა სასტუმროს,  
სადაც აქტრისას იგულებს,  
მარგარიტა კი საფრანგეთს  
დაჰყვება მდიდარ საყვარლებს.

ნიკალა მაინც ხატავს და  
ვალებს უქითავს ის დუქნებს,  
კიბის ქვეშ ათევს ლამეებს,  
მუზას კი თავს ვერ უდუნებს.

წმინდა გიორგი ადგას და  
მათრახით აძლევს ბრძანებებს;  
დახატე ნიკალ, დახატე,  
დრო გავა წაილებს ვნებებს,

შემოქმედება და სახე,  
დარჩება საუკუნეებს,  
აქტრისა გამოიფენაზე  
ამოუდგება ნახატებს,

სიამაყით და გულწყვეტით,  
იტყვის ეს მე ვარ ტილოზე,  
არ გვერათ? წარბები ნახეთ,  
წარმოსთქვაშ თავის ენაზე.

ფიროსმანი კი მსოფლიოს,  
დღემდე აოცებს მხატვრობით,  
ფრანგი მიჯნურიც უკვდავყო,  
“აქტრისა მარგარეტ”-ობით.

## მიწაზე მინდა სამოთხე

მიწაზე მინდა სამოთხე,  
აქ დიდ ედემში ვცხოვრობდე,  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,  
ჩემს კუთხეებით ვხარობდე.

არვინ არავის ართმევდეს,  
სხვა სხვისას არ იჩემებდეს,  
საქმეს თავს კარგად ართმევდეს,  
თავისას არ ასხვისებდეს.

ღამეს შური არ ათევდეს,  
დღე ბოლმას აღარ ანთხევდეს,  
სამშობლოს გულსაც ატევდეს,  
ეზო-კარი არ გატყევდეს.

ძმა-ძმას, რომ აღარ ურტყამდეს,  
პატარა მოხუცს უთმობდეს,  
კაცს მეგობარი სულ ჰყავდეს,  
ჭირში და ლხინში უხმობდეს.

ეგო არასდროს მათრობდეს,  
ყავლი არასდროს გამსვლოდეს,  
ოქრო-ვერცხლი არ მართობდეს,  
უდროოდ არვინ წამსვლოდეს.

მიწაზე მინდა სამ-ოთხე,  
აქ ცუდი არ განმე-ორდეს,  
ღმერთო ვნებები დამი-ცხრე,  
სანამ ვარ მა-ერთ-იანე!

## ნაკრებს

დღეს საქართველო ხომ გაახარეთ,  
ხვალე მსოფლიოს გული გაათბეთ,  
მშვიდობით გევლოთ ევროპის თასზე,  
ნინ! გამარჯვების ცეცხლი დაანთეთ.

კუთხეები რომ გვაერთიანებს,  
ეს საქართველო არ დამარცხდება,  
ერთ მუშტად შეკრულ ფეხბურთის ნაკრებს,  
რომ შეუძლია კვლავ გამარჯვება.

თქვენ ხართ იმედი დიდი მაჯვების  
და საქართველოს გაბრნყინებისა,  
იმედი წინსვლისა, მწუხრისა შვების  
